# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 10 ნოემბერი 2008 №260 (3484) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# XXI საუკუნის თითქმის მუდმივი ჩემპიონი

## ლოკომოტივმა ბზის თასი ჩხუბში მოიგო





## სტაბილური ვიტ ჯორჯია

ქართული კლუბი უეფას თვალით

4



## შავი ზღვის პირველი ტალღა

კოკაიმ და ტორინოშინმა ნოემბრის ბაშო დაიწყეს

6



## რამდენი კაცი სჭირდება შეცდომების დათვლას?

საკალათბურთო მიმოხილვა

7

# იაშვილი JA, JA





„კარლსრუეს“ ბუნდესლიგის ამ ტურში „ლევერკუზენთან“ თამაში თითქმის წაგებული ჰქონდა — აბა, როგორი საქმეა, ნახევარ საათში სამ გოლს რომ გაუშვებ...

ეს მატჩი 3:3 დასრულდა და კარლსრუელთა მესამე გოლი ალექსანდრე იაშვილმა გაიტანა...

ეს იაშვილის პირველი კარლსრუეული გოლიც გახლდათ ბუნდესლიგაში.

დავით მუჯირის გოლით კი მოსკოვის „ლოკომოტივმა“ „სპარტაკი“ დაამარცხა და მუჯირისთვის ეს პირველი ოფიციალური გოლიც იყო რკინიგზელთა გუნდში.

სხვათა შორის, შარშან „სპარტაკი“ მეორე ქართველი ლოკომოტიველის, მალხაზ ასათიანის გოლმა დაამარცხა.

ამ უქმეებზე უცხოეთში კიდევ 7 „ქართული“ გოლი გავიდა.

# ქართველები უცხოეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალექსანდრე იაშვილის საგოლე თავური




დავით მუჯირი

# ქართველების საგოლაო ევროპა

## იაშვილი და მუჯირი პირველად დაძმობილდნენ

**ძალიან** დაგვიანებული კი არის, მაგრამ ალექსანდრე იაშვილმა პირველი ბუნდესლიგური გოლი გაიტანა „კარლსრუეს" მაისურით. „აქუნას" უხვი საგოლე პასების მონაგარს ამით სულაც არ ვაკნინებთ, ის „კარლსრუეს" ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია და აკი, „ლევერკუზენსაც" თავზარი დასცა იმ ნახევარი საათში, რაც გუშინწინ მინდორზე გაატარა.

„კარლსრუე" 27-ე წუთზე 0:3 აგებდა, იაშვილი მე-60-ზე (2:3 იყო) შევიდა შეცვლაზე და ხეირი მაშინვე შეეძლო, თუმც მარჯვენაფლანგურ გარღვევას სუსტი დარტყმა მიაყოლა.

13 წუთი რომ რჩებოდა, „იაშიმ" თავისი გაიტანა და 3:3 დააფიქსირა — ჩელოცის ჩაწოდებულს თავური დაუხვედრა და ასე შეაგდო.

ისე, იაშვილმა წინა სეზონის საუკეთესო მატჩი ასევე „ლევერკუზენთან" ჩაატარა, როცა მისიანები 0:2 აგებდნენ და საბოლოოდ 2:2 დასრულდა.

ტურის მატჩი კი გელზენკირხენში იყო, სადაც „შალკე" „ბაიერნთან" 1:2 დამარცხდა. **ლევან კობიაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა მარცხენა მცველად.

ამ წაგებამ „ხუმარების" საჩემპიონო ამბიციებს დიდი კითხვის ნიშანი დაუსვა.

მეორე ბუნდესლიგაში, ტრადიციად იქცა, რომ მხოლოდ ერთმა ქართველმა უნდა ითამაშოს. მათე ლვინიანიძის „მიუნხენ 1860-"მა შინ „ობერჰაუზენთან" 0:1 დათმო.

ჩვენიანი შეუცვლელად გაისარჯა და ყვითელი ბარათიც მიიღო.

ინგლისის პრემიერლიგა: **ზურაბ ხიზანიშვილი** ამ სეზონში პირველად გამოჩნდა „ბლექბერნის" ძირითადში და 90 წუთიც ითამაშა, თანაც „ჩელსისთან" შეხვედრაში.

„ვარდებმა" სენსაცია ვერ მოახდინეს, ნიკოლა ანელკას დუბლით სტუმრებმა მოიგეს.

„ხიზანამ" სრულად ითამაშა და ვნახოთ, ეგებ პოლ ინსს გული მოუბრუნდეს ჩვენიანზე. თუმც უფრო სავარაუდოა, რომ ზურაბმა ზამთარში დატოვოს „ბლექბერნი".

უკრაინაში **სანდრო გურულმა** ლვოვის „კარპატიში" გახსნა გოლების ანგარიში. 23 წლის ქართველმა კიევის „არსენალს" 79-ე წამზე გაუტანა და თავისიანები დააწინაურა.

საბოლოოდ ჩვენიანმა ბოლომდე ჩაათამაშა მატჩი და კარპატელებმა 3:2 იმარჯვეს.

ჰო, სანდროს გუშინ დაბადების დღე ჰქონდა და წინა დღეს გაუკეთა საკუთარ თავს საჩუქარი.

**გიორგი ციმაკურიძემ** შეუცვლელად ითამაშა „ზარიაში", მისიანებმა კი 2:1 აჯობეს „ილიჩევეცს".

ციმაკურიძე დიდად გამორჩეული არ ყოფილა ამ მატჩში.

„ტავრიამ" შინ 0:2 დათმო „შახტართან", წაგებულთაგან მხოლოდ ვასილ გიგიაძემ ითამაშა და ისიც ბოლო 15 წუთი.

ლადო ბურდული განაცხადშიც ვერ მოხვდა.

რუსეთში ნალჩიკის „სპარტაკმა" პრემიერლიგაში რომ დაიგულა თავი, ბოლო ტურებში უკლო თამაშს და მორიგი მატჩი წააგო — „კრილიასთან" 0:2.

კიევის „დინამოს" მეორე გუნდში 90 წუთი ითამაშა ოთარ მარცვალაძემ — „ჰელიოსთან" მატჩში (2:2) ჩვენიანმა საგოლე პასი გააკეთა.

ალეკო ამისულაშვილმა და დავით სირაძემ სრულად ითამაშეს, გოგიტა გოგუა კი, გეცოდინებათ, ყაბარდოეთიდან აიბარგა.

სირაძეს ბოლო წუთებზე შეეძლო გატანა და მეკარემ აჯობა.

რუსეთის უკვე ჩემპიონმა „რუბინმა" თავს უფლება მისცა და შინ „ტერეკთან" წააგო — 1:3.

დავით კვირკველია სამატჩო განაცხადშიც არ იყო, ლაშა სალუქვაძე იყო, მაგრამ მინდორზე არ შეუყვანიათ.

**დავით მუჯირის** გოლმა მოსკოვის „ლოკომოტივს" სპარტაკთან" მოაგებინა — 1:0.

ეს „მუმუს" პირველი ოფიციალური გატანილია რკინიგზელთა გუნდში. მე-5 წუთი იყო, ჩვენიანმა ნიგერიელი პიტერ ოდემვინგის პასით მეკარის ბაქანთან რომ მიიღო და აუღელვებლად შეაგდო.

დავითმა 80 წუთი ითამაშა.

ისე, ზედიზედ მეორე წელია, „ლოკო" „სპარტაკს" ქართველის გადამწყვეტი გოლით უგებს — შარშან **მალხაზ ასათიანმა** დააჩოქა „სახალხო გუნდი".

**ლევან გვაზავას** „ლუჩ ენერგია" კი პრემიერლიგიდან ვარდება. ამჯერად ვლადივოსტოკელებმა მოსკოვის „დინამოსთან" 0:2 დათმეს.

გვაზავა შეუცვლელად იყო მინდორზე, მაგრამ დიდი ვერაფერი გააწყო.

ჩეხეთში **დიმიტრი ტატანაშვილი** „პლზენის" განაცხადში არ ყოფილა, სამაგიეროდ, მეორე გუნდში „ლიბერეც B"-სთან შეხვედრაში 90 წუთი ითამაშა და ორი გოლი გაიტანა — ორივე მეორე ტაიმში. მისიანებმა 2:1 იმარჯვეს.

ლატვიაში „სკონტო" თანაქალაქელ „რიგასთან" აგებდა, მაგრამ 3:1 იმარჯვა. ჯერ დავით გამეზარდაშვილმა გაათანაბრა ანგარიში, მერე კი ლადო დვალიშვილმა წინ გაიყვანა თავისიანები.

დვალიშვილი 9 გოლით ლატვიის ვირშლიგის ბომბარდირებში მეხუთე ადგილზეა.

**ზურაბ მენთეშაშვილის** „ვენტსპილსმა" კი შინ 0:2 დათმო „მეტალურგსთან" და მეორე ადგილზე გასვლაში „დაეხმარა", ხოლო „სკონტო" მესამეზე დატოვა.

ლიტვაში „კაუნასმა" სტუმრად „სუდუვას" 2:1 აჯობა, მაგრამ ჩემპიონობას ველარ შესწვდება.

ნუკრი მანჩხავას არ უთამაშია, აკაკი ხუბუტია კი 90 წუთი იყო მინდორზე — ეს ბოლო მატჩებია და ხუბუტიას ენდობიან.

მოლდოვაში „დაჩიამ" სტუმრად ცსკა-ს 3:1 სძლია და მესამე გოლი ბოლო წუთზე ლევან კორღალიძემ შეაგდო. „დაჩიაში" სერგი ორბელაძემაც ითამაშა, ჯაბა დვალს კი ტრავმა აქვს.

ბელარუსში „მტზ-რიპომ" მინსკის „ლოკომოტივს" 3:1 სძლია, თუმც გივი კვარაცხელიას ამჯერად აღარ გაუტანია.

გივის გუნდი მესამეზეა.

აზერბაიჯანში „ბაკიმ" 3:0 სძლია თორნიკე აფციაურის „გაბალას". სამიდან ორი ამირან მუჯირმა გაიტანა და ორივეჯერ გიორგი დემეტრაძის დახმარებით — „დემემ" ჯერ პენალტი მოინადირა, მერე კი ასისტენტობა გაუწია მუჯირს.

**კახა ცხადაძის** გაწვრთნილი „სტანდარდი" შინ 0:1 დამარცხდა გრიგოლ დოლიძე-მიხეილ მაზვილაძე-დავით ბოლქვაძე-კახა ჩხეტიანის „სიმურგთან".

ავსტრიაში „შტურმმა" მორიგი მეტოქე გაამწარა — „კაპფენბერგს" 2:0 სძლია და კვლავ შეუცვლელად ითამაშეს გრაცელთა ქართველებმა: გიორგი შაშიაშვილმა და ილია კანდელაკმა.

**ილია ნანოგაშვილი**

# თეთრაძემ რუბინის ვალი არ დაიჯერა



**რუსეთში** დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ყაზანის „რუბინის" ვადამდელმა ჩემპიონობამ. ბევრი თვლის, რომ დავით კვირკველიას, ლაშა სალუქვაძის და ნუკრი რევიშვილის გუნდს ახლა შეუძლია მშვიდად არიგოს ქულები (რაც გუშინაც მოხდა) და მომავალ სეზონზე იფიქროს, რასაც არ ეთანხმება მახაჩყალის „ანჟის" მთავარი მწვრთნელი ომარ თეთრაძე.

„ახლა ბევრს ლაპარაკობენ, რომ გუნდებმა, რომელთაც დასახული მიზანი შეასრულეს, შეუძლიათ, მომავალზე იფიქრონ და სხვა კლუბებს ქულები „ვალში" მისცენ, რათა მომავალ სეზონში ეს „ვალი" უკან დაიბრუნონ. თუ ვიტყვი, რომ ასეთი მატჩები არ არსებობს, ალბათ, არავინ დამიჯერებს — დაჟინებით ამის მტკიცება არ შემიძლია. სასურველია, ასე საერთოდ არ იყოს. ვფიქრობ, მომავალ ტურებში „რუბინი" არავითარ ბინძურ თამაშებში მონაწილეობას არ მიიღებს" — განუცხადა ჟურნალისტებს თეთრაძემ.

ვნახოთ, ვინ იქნება მართალი, თუმც ისიც აშკარაა, რომ რუსეთის ჩემპიონატში ჩაწყობილი თამაშების არსებობას დარწმუნებით ვერავინ უარყოფს...

**კახა შალამბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს 20 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა I წრე. 10 ტური

# სამჯერ გაბედა ვაა!!!

ილია ნანობაშვილი

თბილისი. 8 ნოემბერი. 14 საათი. ამერი. 150 მაყურებელი

## გაგრა 3:1 მესხეთი

| 1:0, 2:0 გაბედავა (14, 23), 2:1 თაყაძე (66), 3:1 გაბედავა (86) | |
|---|---|
| გაგრა: თევდორაძე, ქაჯაია, გიგაური, მგელაძე, ტყემელაშვილი, ჯ. გაბუნია, შარიქაძე (ლალიანი 63), ყიფიანი (კვანტალიანი 90), გაბედავა, ზ. ძაგანია, ზ. დათუნაშვილი სათადარიგონი: ა. კოტრიკაძე, ოქრიაშვილი, ფილია, დ. ჩხაიძე მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე | მესხეთი: სომხიშვილი, რაქვიაშვილი, ლ. ახალაია (მ. თაყაძე 57), მემარნიშვილი, გ. კვახაძე, ლ. თედიაშვილი, ლეკიშვილი, შ. გრიგალაშვილი, სამადაშვილი, გოჩაშვილი (ინასარიძე 58), გონჩაროვი სათადარიგონი: ძამუნაშვილი, სუდაძე, ქოჩორაშვილი, კობესაშვილი, გაგუა მწვრთნელი: კობა თედიაშვილი |
| გაფრთხილება: თევდორაძე (68), კვახაძე (84) | |
| მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი, დ. კურტანიძე, ე. ნარმანია, ი. ურუშაძე | |

**გიორგი გაბედავა** წლევანდელი სეზონის უდავოდ ერთ-ერთი მთავარი აღმოჩენაა. ის შარშანაც თამაშობდა, თუმც რუსთავის „ოლიმპში" იმდენად ვერ ჩანდა — იმდენად კი არა, გაგრელ გაბედავასთან ვერც მივიდოდა.

გახსოვთ, როგორ დაიწყო სეზონი ვლადიმერ ხაჩიძის გუნდმა? პირველივე ტურში „დინამოს" მოუგო და გაბედავამ მაშინ ულამაზესი გოლი გაიტანა. ეს ბიჭი ექტორ რაულ კუპერმაც შეამჩნია და აკი მის მიერ დაწესებულ „სამშაბათობაზეც" გამოიძახა.

შორიდან დარტყმები — ეს გიორგის მთავარი იარაღია და მგონი, ჩვენს ჩემპიონატში მასზე კარგად არც არავის გამოსდის. ან კი რამდენს დაასახელებ ტიპიურ დამრტყმელს ქართული კლუბებიდან? ბევრს ვერა.

ახლა კი, როგორ გამოცხვა ამ სეზონის პირველი ჰეთ თრიქი: მე-14 წუთი იყო, გაბედავამ 27-30 მეტრიდან საჯარიმო დაარტყა, ბურთი დაბლა გასრიალდა და „მესხეთის" მეკარე გიორგი სომხიშვილს თითებთან ჩაუარა. წვიმიანი ამინდის ბრალიც იყო, თუმც სომხიშვილის შეცდომაც აშკარაა — 1:0.

23-ე წუთზე ლევან შარიქაძემ მოჰპარა ბურთი სტუმართა მცველებს, გაბედავას დაუგორა და მანაც ეგრევე ცხრიანში შეაზრიალა. ესეც საჯარიმოს გარედან — 2:0.

86-ე წუთზე ზამორა დათუნაშვილმა მარჯვენა ფლანგზე გაისეირნა, გაბედავა სომხიშვილს პირისპირ შეატოვა, ამანაც მეკარე მოატყუა და ცარიელ კარში შეაგორა ბურთი — 3:1.

მთლიანობაში, ავდრის მიუხედავად, კარგი თამაში გამოვიდა. „მესხეთი" მებრძოლი გუნდია და განსაკუთრებით სტუმრად „შეუყვარდა" ქულების აღება, მაგრამ გლდანში ევრაფერს გახდა.

გაბედავას პირველი გოლიდან მეორემდე დიდი რა დრო გავიდა, მაგრამ სამი საგოლე მომენტი კი დაიტია: მესხთა დიმიტრი ლეკიშვილს ორჯერ მიეცა გატანის შანსი, მაგრამ ჯერ რევაზ თევდორაძეს ვერ აჯობა, შემდეგ კი მასთან პირისპირ გასულმა დარტყმას პასი არჩია და ვერაფერი გამოადნო.

წუთში კონტრშეტევაზე დათუნაშვილმა მარჯვნიდან გაიქროლა, თითქმის მარტო იყო სომხიშვილთან და ააცილა.

მეორე გოლიდან სულ ცოტა იყო გასული, შარიქაძემ ახლოდან რომ ვერ მოზომა სიზუსტე, რასაც მესხი შოთა გრიგალაშვილის აფეთქება მოჰყვა: სტუმართაგან საუკეთესომ ლრიჭო მონახა, მცველებს შუა გაძვრა და თევდორაძეს რომ არ ეყოჩაღა, ანგარიში შესვენებამდე შემცირდებოდა. უფრო რთული ბურთი გაგრელთა მეკარემ ტაიმის ბოლო წუთებზე მოიგერია — გიორგი კვახაძეს სამი-ოთხი მეტრიდან არ გაატანინა.

გრიგალაშვილი ბევრს ცდილობდა, თავის თავზე იღებდა თამაშს, მაგრამ მეორე ტაიმში დაიღალა და ერთხელღა მოხვდა „ეპიცენტრში" — თევდორაძემ ჯარიმა აუღო.

„მესხეთს" სწორედ ის გუნდურობა აკლდა, რაც მასპინძლებს ჰქონდათ — ისინი ართმევაზეც დროულად აზღვევდნენ ერთმანეთს და კონტრშეტევებზეც მწყობრად გადადიოდნენ.

და მაინც, „მესხეთმა" ხუთწუთიანი დაწოლა გოლად აქცია: შეცვლაზე შესულმა მიხეილ თაყაძემ ჯარიმა ჩააწოდა თუ დაარტყა, არ ვიცით, მაგრამ თევდორაძემ მოგერიება ვერ შეძლო — ლეკიშვილიც ხელს უშლიდა და აკი, მეკარე მსაჯზე გაბრაზდა, ჩემზე თავდასხმის გამო გოლი არ უნდა ჩაგეთვალაო.

ასე გახდა 2:1 და დრო საკმაო იყო, თუმცა „მესხეთმა" ისე მძლავრად ველარ შეუტია და ოდენ დავით ინასარიძის შორეულ დარტყმებს თუ გამოვარჩევთ, როცა თევდორაძე მაგრად დადგა.

ასე მოიგო „გაგრამ" ექვსტურიანი შესვენების შემდეგ, ბოლოსწინა ადგილი კი სწორედ გუშინწინდელ მეტოქეს „დაუთმო".

კობა თედიაშვილის გუნდი სულაც არ ჰგავდა წაგებისთვის განწირულს, „მესხეთს" ბრძოლისუნარიანობას ვერ წაართმევ, მაგრამ გაბედავას მსგავსად ვერავინ ურტყა და...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 9 | 6 | 0 | 3 | 13:6 | 18 |
| ვიტ ჯორჯია | 9 | 5 | 3 | 1 | 12:7 | 18 |
| ზესტაფონი | 9 | 5 | 2 | 2 | 19:5 | 17 |
| დინამო | 9 | 5 | 1 | 3 | 15:10 | 16 |
| სიონი | 9 | 3 | 4 | 2 | 9:6 | 13 |
| მგლები | 9 | 4 | 0 | 5 | 10:9 | 12 |
| გაგრა | 10 | 3 | 2 | 5 | 10:15 | 11 |
| ოლიმპი | 9 | 2 | 5 | 2 | 7:7 | 11 |
| ბორჯომი | 9 | 2 | 4 | 3 | 10:14 | 10 |
| მესხეთი | 9 | 2 | 4 | 4 | 8:12 | 9 |
| სპარტაკი | 9 | 1 | 0 | 8 | 6:19 | 3 |





# გიორგი გაბედავა: ლიგაში დავრჩებით!

**საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ათი ტური გაილია და სწორედ ბოლო ტურში ვიხილეთ პირველი ჰეთ თრიქი — „გაგრას" შემტევმა გიორგი გაბედავამ ახალციხის „მესხეთს" ლამის მარტო მოუგო (3:1). ამ პერსპექტიული ბიჭის თამაში არც ჩვენი ნაკრების თავკაც ექტორ რაულ კუპერს გამოჰპარვია და ერთ-ერთ „სამშაბათობაზეც" დაუძახა.**

**ამ ჩემპიონატში გაბედავამ „მესხეთის" გარდა „დინამოსა" და „სიონსაც" გაუტანა და 5 გოლით ბომბარდირთა დავაშიც ჩაერთო. „გაგრას" მთავარმეგოლეს გუშინ ვესაუბრეთ და, რა თქმა უნდა, „მესხეთთან" შეხვედრით დავიწყეთ...**

— „მესხეთთან" აუცილებლად გამარჯვება გვჭირდებოდა. კლუბის ხელმძღვანელობა მხოლოდ სამ ქულას ითხოვდა. ყველანი მაქსიმალურად მობილიზებულნი ვიყავით. ბოლო ოთხ თამაშში გოლი არ გაგვიტანია, თანაც ვაგებდით ხოლმე. მიხარია, რომ სამი ქულა მოვიპოვეთ და ფსიქოლოგიური მდგომარეობა გამოვასწორეთ.

**— „მესხეთის" ძლევაში დიდი წვლილი შეიტანე, ჰეთ თრიქი შეასრულე...**

— ეს გამარჯვება ყველას დამსახურებაა. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, რომ გოლები გავიტანე და ჩემს გუნდს წარმატების მოპოვებაში დავეხმარე.

**— 11 ქულა მოგიგროვდათ და ყველა შინ აიღეთ. როგორ ფიქრობ, რატომ ვერ თამაშობს გუნდი სტუმრად?**

— რაც უნდა იყოს, უმაღლესი ლიგის დებიუტანტები ვართ, თანაც სულ ოთხი ფეხბურთელი გვყავს, ვისაც უმაღლეს ლიგაში უთამაშია. გამოუცდელობა თავისას აკეთებს, თუმც ნელ-ნელა ვეჩვევით სტუმრად თამაშს და მჯერა, ქულების აღებასაც დავიწყებთ.

**— წინა სეზონში რუსთავის „ოლიმპში" ირიცხებოდი, მაგრამ იქ რაღაც ვერ წაგივიდა თამაში...**

— ზუგდიდელი ვარ, „მგლები" — „ოლიმპის" ამხანაგური შეხვედრის შემდეგ ანატოლი პისკოვეცს მოვეწონე და რუსთავში გადამიყვანა. ხშირად არ მიწევდა თამაში, თუმც „ოლიმპში" ბევრი ვისწავლე და პისკოვეცის მადლიერი ვარ.

**— შენი მთავარი პლუსი შორეული დარტყმებია. ამაზე საგანგებოდ ვარჯიშობ?**

— ზუგდიდში ჩემი მწვრთნელი ელგუჯა ქომეთიანი იყო. მისი დამსახურებაა, რომ დარტყმის დროს ფეხის სწორად ჩადგმა მასწავლა... ღვთისგან მაქვს ფიზიკური ძალა და...

**— ყველაზე მეტად რა გაქვს გამოსასწორებელი?**

— მარცხენა ფეხით თამაშია ჩემი ყველაზე დიდი მინუსი და ვცდილობ, ეს ხარვეზი აღმოვფხვრა. სხვათა შორის, ოდნავ პროგრესს უკვე ვატყობ.

**— იქიდან გამომდინარე, რომ უმაღლესიდან სამი გუნდი ვარდება, როგორ ფიქრობ, „გაგრას" შეუძლია, ადგილი შეინარჩუნოს?**

— წლევანდელ ჩემპიონატში ყველაფერი მოსალოდნელია. ცხინვალის „სპარტაკს" ხომ 3 ქულა აქვს, თუმც გადაჭრით ვერავინ იტყვის რომ ის უკვე გავარდნილია. ბოლო წლებთან შედარებით, ეს ჩემპიონატი ყველაზე დაძაბული და საინტერესოა — დიდი ბრძოლებია და სენსაციებიც ხშირია. ვთვლი, რომ „გაგრას" უმაღლესში დარჩენა არ გაუჭირდება.

**— ჩვენს ჩემპიონატში მოთამაშე თავდამსხმელებიდან ვის გამოარჩევ?**

— კარგი თავდამსხმელია რატი ალექსიძე, მომწონს მათე ვაწაძე... კიდევ არის რამდენიმე, რომელთა თამაშის ყურება მსიამოვნებს.

**— ბოლოს ერთიც: ექტორ კუპერმა პირველ სამშაბათის ვარჯიშზე გიხმო — ეს შენთვის რას ნიშნავს?**

— უზომოდ გამიხარდა. მე ჯერ 19 წლის ვარ და ახალგაზრდულ ნაკრებში მოხვედრის შანსიც მაქვს. ადრე თუ უცხოეთში წასვლაზე ფიქრობდა ქართველი ფეხბურთელი იმის გამო, რომ ეროვნული ნაკრების მწვრთნელს ყურადღება მიექცა, ეს უკვე საქართველოს ჩემპიონატიდანაც შეიძლება. რა თქმა უნდა, ეს ჩვენთვის დიდი სტიმულია. რომელი ფეხბურთელი არ ოცნებობს თავისი ქვეყნის ნაკრებში მოხვედრაზე? ჩემი მიზანიც ეს არის. ერთი ვიცი, რომ ბევრი უნდა ვიშრომო და აუცილებლად დამიფასდება.

ნუკრი ლოლაძე



# სტაბილური ვიტ ჯორჯია

**საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი რომ თბილისის „ვიტ ჯორჯიაა“, საკამათო არ უნდა იყოს. ვეტერინარებმა წლეულს უეფას თასზეც ნორმალურად ითამაშეს და ეს არც უცხოეთში გამოჰპარვიათ —აი, რას წერს „ვიტ ჯორჯიაზე“ uefa.com-ი...**

**თბილისის** „ვიტ ჯორჯიას“ საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში დებიუტი 1997-98 წლების სეზონში ჰქონდა. მალე კი ეს გუნდი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბად იქცა.

გუნდს „ვიტ ჯორჯია“ 1997 წლიდან ჰქვია (მანამდე „მორკინალი“ ერქვა) და ამის მერე ეს მშობლიური სახელია ვეტერინარები.

ხელმძღვანელობას სახელწოდება შემთხვევით არ შეურჩევია. საქმე ისაა, რომ კლუბის მთავარი სპონსორი ვეტერინარული წამლებისა და პრეპარატების იმპორტიორი კომპანიაა. მათ ცხოველთა საკვებიც შეაქვთ ქართულ ბაზარზე.

ელიტაში რომ მოხვდა, გუნდმა თავიდან მცირე ფინანსური კრიზისი განიცადა, რამაც ვიტელებს არ მისცა საშუალება, ცხრილში ათეულში მოხვედრილიყო, თუმც მომავალ სეზონში უკვე მე-7 საფეხურზე დაასრულეს ჩემპიონატი, კიდევ ერთი სეზონის შემდეგ კი ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

მას შემდეგ თბილისელები რეგულარულად მონაწილეობენ უეფას ეგიდით ჩატარებულ ტურნირებში. აი, 2004 წელს მოპოვებულმა ქვეყნის ჩემპიონობამ კი მათ საშუალება მისცა, უეფას ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ეთამაშა. პირველად ეტაპზე ფარერული „ტორსჰავნი“ დაამარცხა. აი, კრაკოვის „ვისლასთან“ კი... ორი მატჩის ჯამში 2:11 წააგო.

ნესტორ მუმლაძის შეგირდებმა უეფას თასზე წლეულს კლუბის ისტორიაში პირველად გადალახეს პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი, როცა ტრნავის „სპარტაკს“ სძლია. მეორე ეტაპზე ვიტელებს ორმატჩიანი დუელი უნდა ჰქონოდათ ვენის „აუსტრიასთან“, მაგრამ იმ დროს საქართველოში განვითარებული საომარი მოვლენების გამო ერთადერთი მატჩი ჩატარდა, ისიც ავსტრიაში.

ვენაში მასპინძლებმა იზეიმეს გამარჯვება — 2:0.

„ვიტ ჯორჯია“ წლების განმავლობაში თბილისთან ახლოს მდებარე ქალაქში, მცხეთაში, მასპინძლობდა მეტოქეებს 3-ათასიან სტადიონზე.



წლეულს ვეტერინარები გორში ატარებენ საშინაო მატჩებს, რადგან მათ სარბიელზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს. ასე რომ, კლუბის ინფრასტრუქტურა მალე გაუმჯობესდება ახალი საწვრთნელი ცენტრით და ორი ხელოვნურსაფარიანი მოედნით.

„ვიტ ჯორჯიას“ მეორე გუნდი, რომელშიც ახალგაზრდა ფეხბურთელები არიან თავმოყრილნი, საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში გამოდის.

ბევრი კლუბისგან განსხვავებით, „ვიტ ჯორჯია“ სტაბილურობით გამოირჩევა. კლუბის ხელმძღვანელობა წლების განმავლობაში თავისივე ახალგაზრდებს ენდობა, ბიჭებიც არ ღალატობენ და დროთა განმავლობაში ლიდერებადაც ყალიბდებიან. თუნდაც ნახევარმცველების — ირაკლი კლიმიაშვილისა და გიგა ბეჭვაიას მაგალითი. მათ ერთ წელიწადზე ცოტა მეტი მოანდომეს გზას ახალბედობიდან წამყვან ფეხბურთელობამდე.

კლიმიაშვილს არგენტინელი ექტორ რაულ კუპერი ყოველთვის იწვევს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში, ხოლო ორი ფეხბურთელი — ალექსანდრე კვახაძე და ლუკა რაზმაძე — ეროვნული ნაკრების ძირითადში თამაშობს.

„სეზონის დაწყების წინ ჩვენი გუნდი პავლე დათუნაიშვილმა და ზაზა სახოკიამ დატოვეს, თუმც როგორც ყოველთვის, ჩვენ ახალგაზრდა ტალანტებით შევივსეთ, რომლებიც უკვე ჩაეწერნენ ძირითად შემადგენლობაში“ — აღნიშნა „ვიტ ჯორჯიას“ მთავარმა მწვრთნელმა ნესტორ მუმლაძემ uefa.com-თან საუბარში.

სტაბილურობა იმაში გამოიხატება, რომ მუმლაძეს ენდობიან და მეოთხე წელია, ის გუნდს წვრთნის. მწვრთნელს იმედი აქვს, რომ მისი შეგირდები გაიმეორებენ ოქროს წარმატებას, რომელსაც 2004 წელს მიაღწიეს.

„ხელმძღვანელობა მაინცდამაინც პირველ ადგილს არ ითხოვს — აღიარა ვეტერინართა თავკაცმა uefa.com-თან — თუმც სეზონის დასაწყისმა დაგვანახვა, რომ ჩვენ ფიზიკურად კარგად ვართ მომზადებულნი. ფრიადზე ვიმუშავეთ მოსამზადებელი პერიოდის დროს უკრაინაში, კარგად წარმოაჩინეს თავი გუნდის ლიდერებმა, გიგა ბეჭვაიამ და გიორგი მელქაძემ. ეს ყველაფერი უფლებას მაძლევს, განვაცხადო, რომ ჩვენ აუცილებლად ვიბრძოლებთ საუკეთესო ადგილისთვის“.

სადღეისოდ, ეროვნულ ჩემპიონატში ვეტერინარები ოდნავ ჩამორჩებიან ლიდერ თბილისის „ლოკომოტივს“ და მართლაც სავსებით შესაძლებელია, მომავალი წლის გაზაფხულზე მათ წარმატებით დაასრულონ სეზონი.

# სიახლე: ბიზნესის ჩემპიონთა ლიგა

**გუშინ** კლუბ „კუბიკში“ ორგანიზაცია „სპორტ ბიზნეს მენეჯმენტი საქართველომ“ პრეზენტაციაზე მიგვიწვია.

საქართველოში მინი-ფეხბურთის ტურნირები სიახლე სულაც არ არის, მაგრამ ამ ორგანიზაციის წამოწყებას, ისე ჩანს, სრულიად განსხვავებული იერი ექნება.

„ბიზნესის ჩემპიონთა ლიგა“ — ასე ქვია ტურნირს, რომელიც შაბათს დაიწყება. 20 მონაწილე, ორი ჯგუფი, ორ თვეზე გაჭიმული პირველი ეტაპი, რის მერეც საუკეთესოები სუპერლიგაში განაგრძობენ თამაშს, ათი უარესი გუნდი კი უმაღლეს ლიგაში ითამაშებს. პარალელურად ჩატარდება თასის გათამაშება, სეზონი კი სუპერთასით დასრულდება.

ამგვარი ტურნირების ჩატარებას უცხოეთში დიდი ხნის პრაქტიკა აქვს და რაკი ქართული ანალოგის მოწყობა იქაურ გამოცდილებას ეყრდნობა, ამიტომაც ვამბობთ, რომ „ბიზნესის ჩემპიონთა ლიგა“ სრულიად გამორჩეული ტურნირი უნდა იყოს.

პრეზენტაციისას კომენტარი „სპორტ ბიზნეს მენეჯმენტი საქართველოს“ დირექტორ ზაალ ჩიტალაძეს ვთხოვეთ, ვინაც წლების მანძილზე რუსეთის ჩემპიონატში თამაშობდა და მოსკოვის „ტორპედოს“, „დინას“ და „სპარტაკის“ მეკარე იყო: „მთელ ევროპაში ეწყობა ასეთი სამოყვარულო ტურნირები, რაც ვფიქრობთ, გართობის და დასვენების საუკეთესო საშუალებაა. ტურნირში მსხვილი კომპანიები მიიღებენ მონაწილეობას და სოლიდური სპონსორებიც გვყავს: „პეპსი“, „ოლიმპიური ვარსკვლავი“, „იბერია ბიზნეს ჯგუფი“, LG-ს წარმომადგენელი „ალგორითმი“, იუ-ჯი-თი, „სამგორი-94 ჯგუფი“...

ბოლოს კი მოგახსენებთ, რომ შაბათს, პირველ ტურში, ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში „სარბიელი“ „ოლიმპიურ ვარსკლავს“ ხვდება.

**კოტე კეკელია**






## საქართველოს 20 ჩემპიონატი

### პირველი ლიგა — II წრე. 11 ტური

**კახეთი 0:4 ამერი**
**სიონი 2 1:4 გაგრა 2**
**ჩიხურა 2:0 ვიტ ჯორჯია 2**
**დილა 1:0 თბილისი**
**დინამო 2 1:0 ნ. დინამო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 11 | 8 | 2 | 1 | 24:7 | 26 |
| ამერი | 11 | 7 | 2 | 2 | 20:7 | 23 |
| დინამო 2 | 11 | 6 | 3 | 2 | 15:8 | 21 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 11 | 5 | 5 | 1 | 18:5 | 20 |
| დილა | 11 | 5 | 4 | 2 | 16:8 | 19 |
| სიონი 2 | 11 | 3 | 3 | 5 | 16:31 | 12 |
| თბილისი | 11 | 3 | 2 | 6 | 14:18 | 11 |
| გაგრა 2 | 11 | 3 | 2 | 6 | 17:23 | 11 |
| კახეთი | 11 | 2 | 2 | 7 | 6:21 | 8 |
| ნორჩი დინამო | 11 | 1 | 4 | 6 | 12:19 | 7 |
| ჰერეთი | 10 | 1 | 3 | 6 | 7:18 | 6 |

**კოლხეთი 1:2 სამტრედია**
**მეშახტე 0:2 ბაია**
**ბათუმი 0:2 ზესტაფონი 2**
**გურია 4:1 ჭიათურა**
**ტორპედო 2008 3:1 ხობი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაია | 11 | 8 | 2 | 1 | 20:4 | 26 |
| სამტრედია | 11 | 7 | 1 | 3 | 20:9 | 22 |
| მერანი (მ) | 10 | 6 | 3 | 1 | 19:8 | 21 |
| კოლხეთი | 11 | 6 | 2 | 3 | 15:7 | 20 |
| ჭიათურა | 11 | 5 | 1 | 5 | 18:15 | 16 |
| ხობი | 11 | 4 | 3 | 4 | 10:12 | 15 |
| ზესტაფონი 2 | 11 | 4 | 2 | 5 | 11:15 | 14 |
| ტორპედო 2008 | 11 | 4 | 1 | 6 | 8:8 | 13 |
| გურია | 11 | 3 | 3 | 5 | 15:21 | 12 |
| ბათუმი | 11 | 2 | 3 | 6 | 12:21 | 9 |
| მეშახტე | 11 | 0 | 1 | 10 | 6:29 | 1 |

# XXI საუკუნის თითქმის მუდმივი ჩემპიონი

## ლოკომოტივმა ბზის თასი ჩხუბში მოიგო

**ლოკომოტივი 19:9 ლელო**

**ლოკომოტივი:** ასათიანი, ტუჩაშვილი, კობერიძე, ბერძენიშვილი, ჟამუტაშვილი, კვინიხიძე, ლვინჯილია; ზ. მაისურაძე, ახვლედიანი, გენებაშვილი, ნიშნიანიძე, ჩიტიძე, ნაცარაშვილი, ტურაშვილი, პეტრიაშვილი

*2ლ: გენებაშვილი, ტურაშვილი; 2ს: კვინიხიძე; ს: ასათიანი*

**ლელო:** ყიასაშვილი, ჯოგლიძე, თოდუა, ლომინაძე, ცერცვაძე; ხმალაძე, გოგია; კოლელიშვილი, დაუშვილი, ი. მაისურაძე, ვ. მაისურაძე, დაუშვილი, სუჯაშვილი, ცხოვრებაშვილი, ყალიჩავა

*შეცვლაზე შევიდნენ: სანიკიძე, აზალაძე*

*3ს: ჯოგლიძე*



ბადრი კეთილაძის ფოტო

გუშინ „მიხეილ მესხზე“ საქართველოს ჩემპიონი გაირკვა. თემურ ბენდიაშვილის „ლოკომოტივი“ 2000 წლიდან დღემდე მეექვსედ გახდა ქვეყნის უძლიერესი გუნდი. რკინიგზელთა გუშინდელი მეტოქე — „ლელო“ თუ მოიგებდა, მეორედ გამოჰკრავდა ჩემპიონობას ხელს, მაგრამ მათი შანსი თითქოს მეორე ტაიმის მიწურულს ატეხილმა ჩხუბმა გაიყოლა. ბარაქიანი დაკა-დაკას შემდეგ მოედანზე სულ სხვა „ლელო“ დაბრუნდა — ქაოტური და მოშლილი გუნდი.

მატჩმა კი მოლოდინი სრულიად გაამართლა. ბევრი ფინალის მსგავსი იყო, უდაძაბულესი... მოთამაშეთა ნერვიულობამ ყველაფერზე იმოქმედა და პირველ რიგში თამაშის ხარისხზე. ჩხუბი ვახსენეთ. მოლში ლოკომოტიველი ზვიად მაისურაძე მეტოქესთან წაკინკლავდა და მალე ისეთი მუშტების ბაგაბუგი ატყდა, რომ ტრიბუნებზე მყოფმა მანდილოსნებმა შიშისგან კივილიც კი დაიწყეს. ჩხუბი უჩვეულოდ დიდხანს გაგრძელდა. ფრანგმა მსაჯმა ორ მაისურაძეს — ზვიადს და ვახტანგს — წითელი ბარათი აუფრიალა, მაგრამ მოდით, თავიდან დავიწყოთ...

შეხვედრის დასაწყისში განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა. ჯერ ბობა კვინიხიძეს გაუფუჭდა საჯარიმო, შემდეგ ილია მაისურაძის ეფექტურ გარღვევას „ლელოს“ კარში დასარტყამი ჯარიმა მოჰყვა, მაგრამ ირაკლი ყიასაშვილმა ვერ ივარგა. მას მეტი აღარც დაურტყამს, არადა, გასულ სეზონში ირაკლი გუნდის მთავარი ჩუბინი იყო.

უპირატესობას „ლელო“ ფლობდა. ანგარიშიც ლევან მაისაშვილის გაწვრთნილებმა გახსნეს. გოდერძი ჯოგლიძემ დაარტყა საჯარიმო ზუსტად. უმალ გააქტიურდა „ლოკომოტივი“ და მიაწვა... სახიფათოდ შეტევის განვითარებას „წითლებმა“ საჯარიმო არჩიეს. კვინიხიძემ ანგარიში გაათანაბრა. გასაკვირია, მაგრამ გუნდები ერთმანეთის აუტებს იგებდნენ. ჯოგლიძის კიდევ ერთმა ზუსტმა საჯარიმომ მატჩში „ლელო“ უკანასკნელად დააწინაურა. კვინიხიძემ ისევ სწრაფად უპასუხა საჯარიმოთივე.

შემდეგ ერთ მომენტში მსაჯმა ჩათვალა, რომ ილო მაისურაძემ მეტოქე კისერში შებოჭა. დამნაშავეს ყვითელი ბარათი უჩვენეს და ათი წუთით სინბინში გაუშვეს. ტაიმის დასრულებამდე შვიდიოდე წუთი რჩებოდა, ჩხუბი რომ დაიწყო. ზედახორადან ყველაზე დაზარალებული ლელოელი ლაშა ხმალაძე გამოვიდა, სავარაუდოდ, ცხვირი გაუტყდა. ექიმებმა ხმალაძე ისე დაბინტეს მუმიას დაამსგავსეს და მაინც დატოვეს მოედანზე. ვერ გეტყვით, ხმალაძის ტრავმა რამდენად სერიოზულია. მან მეორე ტაიმშიც ითამაშა. საწუხაროდ, თუ ტრავმა სერიოზული გამოდგა, ლაშა საქართველოს ნაკრების საშოტლანდიო მარაქას დააკლდება.

პირველი ლელო მორაგბეთა დაშოშმინებისთანავე გავიდა. მოლით მიაწვნენ რკინიგზელები და ლევან გენებაშვილი კომენტატორმა ლელოს ავტორად დაასახელა.

მეორე ტაიმის დასაწყისში გავიდა მეორე ლელო, რომელიც თითქოს პირველის ასლი იყო. „ლოკომოტივი“ ყოჩაღად ისევ მოლით გაისარჯა. ამჯერად ლელო ოთარ ტურაშვილის ანგარიშზე ჩაიწერა. კვინიხიძემ ორივე გარდასახვა გააფუჭა.

ილია მაისურაძე კი მობრუნდა მოედანზე, მაგრამ გამოცდილმა კაპიტანმა ველარ შეძლო თამაშის დალაგება. „ლელომ“ მხოლოდ ერთი საჯარიმოს გატანალა მოახერხა. „ლოკომოტივმა“ კი ბოლო აკორდად არ-ეკნი გაიტანა და მსაჯის სასტვენის ხმაც გაისმა.

**ზურაბ მიგრიაული**



ზურგით ლევან გენებაშვილი

ბადრი კეთილაძის ფოტო



ფინალმა, სამწუხაროდ, უჩხუბრად არ ჩაიარა

ბადრი კეთილაძის ფოტო

**საქართველოს ყველა ჩემპიონი**

1990 — აია (ქუთაისი)
1991 — აია
1992 — ვესტა (თბილისი)
1993 — რუსთავი
1994 — თბილისი
1995 — აია (ქუთაისი)
1996 — გუმარი (თბილისი)
1997 — ყოჩები (თბილისი)
1998 — ყოჩები
1999 — დათვები (ბათუმი)
2000 — ლოკომოტივი
2001 — ლოკომოტივი
2002 — დათვები (ბათუმი)
2003 — ლოკომოტივი
2004 — ლელო (თბილისი)
2005 — ლოკომოტივი
2006 — ლოკომოტივი
2007 — ყოჩები
2008 — ლოკომოტივი

# შავი ზღვის პირველი ტალღა



კოკამ საშემოდგომო ბაშო მოგებით დაიწყო

**კვირას** იაპონიის ქალაქ ფუკუოკაში ნოემბრის ბაშო დაიწყო. გუშინ ფალავნებმა თავიანთი პირველი ბრძოლები გამართეს. მათ შორის იყვნენ, რაღა თქმა უნდა, ქართველი სუმოისტებიც — ლევან ცაგურია (კოკაი) და ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი).

პირველ საშეჯიბრო დღეს ჩვენიანებიდან მოგება მხოლოდ ერთმა მოახერხა. კოკაი, რომელიც აღმოსავლეთის მეთერთმეტე მაეგაშირა გახლავთ, დასავლეთის მეთერთმეტე მაეგაშირა კორიუს შეხვდა და მოუგო კიდეც. მისი მომდევნო მეტოქე აღმოსავლეთის მეათე მაეგაშირა ბუბუიამაა. ეს სუმოისტი უკვე 32 წლისაა, ჭიდაობა 1999 წელს დაიწყო, მაგრამ, რაოდენ საკვირიც უნდა იყოს, ეს ნოემბრის ბაშო მისთვის პირველი ტურნირია უმაღლეს მაკუუჩი დივიზიონში. ბუმუიამამ ასეთ ასაკში მიაღწია იმას, რისკენაც თითქმის 9 წელიწადი მიილტვოდა.

გუშინ დამარცხდა ტოჩინოშინი, რომელიც მეოთხე მაეგაშირას რანგში შეხვდა ფუკუოკას ბაშოს. მისი მეტოქე აღმოსავლეთის მეოთხე მაეგაშირა კისენოსატო იყო.

ლევან გორგაძის მომავალი მეტოქე, დასავლეთის მეხუთე მაეგაშირა დეჯიმა იქნება. ეს იაპონელი სუმოისტი 34 წლის გახლავთ. სუმოს ჭიდაობა 1996 წელს დაიწყო, სულ რაღაც ერთ წელიწადში კი უკვე მაკუუჩი დივიზიონში გადავიდა. მისი კარიერის პირველი წლები ძალიან სწრაფად ვითარდებოდა. 1999 წელს დეჯიმა უკვე ოძეკი გახდა, დღეს კი უკვე ვეტერანი სუმოისტი, ალბათ, კარიერის ბოლო წლებს ატარებს, თუმც მაინც ანგარიშგასაწევ ძალად ითვლება და, როგორც უკვე გითხარით, ახლა დასავლეთის მეხუთე მაეგაშირაა.

პროფესიული სუმოს ელიტარული სპორტსმენებიდან კვირას არ უჭიდავია დასავლეთის იოკოძუნა ასაშორიუს.

დანარჩენებიდან კი სენსაციურად დამარცხდა აღმოსავლეთის იოკოძუნა ჰაკუჰო, რომელსაც აღმოსავლეთის კომისუბი ამონაშიკიმ აჯობა.

ოძეკი კოტოოშუმ ვერაფერი მოუხერხა დასავლეთის მეორე მაეგაშირა ვაკანოსატოს და წააგო. ასევე მარცხით დაიწყო ფუკუოკას ბაშო ვეტერანი ოძეკი კაოსათვის, რომელსაც აღმოსავლეთის პირველმა მაეგაშირა ტოიონოშიმამ მოუგო. სამაგიეროდ, თავისი შეხვედრები მოიგეს ოძეკებმა — ჩიოტაოკიმ დასავლეთის პირველ მაეგაშირა ფუტენოს აჯობა, კოტომიცუკიმ კი აღმოსავლეთის კომისუბ ვოკიდოს მოუგო.

ერთი სიტყვით, ძალიან საინტერესოდ დაიწყო წლევანდელი სეზონის ბოლო დიდი პრიზი სუმოში და იმედია, ასევე გაგრძელდება 23 ნოემბრამდე.

**გიორგი არაბული**



# დათუკაშვილმა გორენიე გოლებს შეაჩვია

**ქართველ** ხელბურთელ სერგო დათუკაშვილის გუნდმა, სლოვენიურმა „გორენიემ“, იქაური ჩემპიონატის მორიგ ტურში კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა და კვლავ სატურნირო ცხრილის სათავეშია მოქცეული.



„გორენიემ“ საკუთარი გულშემატკივრის თვალწინ „კრკა“ შეარცხვინა და 28:23 მოუგო. დათუკაშვილი კი, წინა თამაშის მსგავსად, ხუთი გოლით შეეშველა თანაგუნდელებს და საერთოდაც, საკმაოდ კარგად ითამაშა. როგორც ჩანს, სერგო ნელ-ნელა სათამაშო ფორმას იბრუნებს და „გრენიეს“ წამყვან მოთამაშედ ყალიბდება. არადა, სულ ნახევარი თვეა, რაც ტრავმის შემდეგ თამაში დაიწყო და მაინც კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ გუნდში საკმაოდ დიდი კონკურენციაა და მარტო მის პოზიციაზე — მარცხენა ინსაიდის ადგილზე — ერთბაშად ოთხი მოთამაშე მოდის...

„გორენიე“ კი 12 ქულით, როგორც ვთქვით, ცხრილის თავშია და მთავარ კონკურენტ „კლიპერსს“ ერთი ქულით უსწრებს.

**ლექსო მაისურაძე**



# ერთა თასი რუსეთმა დაიწყო



**გასულ** შაბათს ევროპის 2998-2919 წლების „ერთა თასის“ პირველი შეხვედრა გაიმართა. რუსეთის ნაკრებმა ესპანეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა და იოლადაც დაამარცხა. რუსებმა ახალი მწვრთნელის ნიკოლაი ნერუშის მეთაურობით პირველად ირაგბეს. შემადგენლობაც გადახალისებული ჰქონდათ, მაგრამ ესპანელთა დაჯაბვნა იოლად გამოუვიდათ. მთელმა მატჩმა მასპინძელთა უპირატესობით ჩაიარა. ბურთი მუდმივად „დათვებს“ ეჭირათ და ლოგიკურ დასასრულსაც ხშირად ნახულობდნენ. ერთი ეგ არის, რომ რუსები ხშირად უხეშობდნენ და ამის გამო მრავლად ჯარიმებიც აიკიდეს.

„ერთა თასის“ 2008 წლის ჩასატარებელი კიდევ ერთი შეხვედრა მომავალ უქმეებზე ესპანეთში გაიმართება. ესპანელები დებიუტანტ გერმანელებს დაუხვდებიან.

**ზურაბ მიგრიაული**





ზაზა ფაჩულია

შაბათი დღე ქართველი კალათბურთელებისთვის საკმაოდ წარმატებული გამოდგა. სამი გუნდის შემადგენლობაში ოთხმა ქართველმა ითამაშა და ყველამ მოახერხა მოგება — ამერიკის შეერთებულ შტატებში ზაზა ფაჩულიამ, ესტონეთში გიორგი ცინცაძემ და ვიქტორ სანიკიძემ, ხოლო უკრაინაში — მანუჩარ მარკოიშვილმა. ასეთი გამარჯვებებიანი დღები კი ხშირად ნამდვილად არ აქვთ ქართველ ლეგიონერებს

# ქართული ლეგიონის უქმეებზე მოგებული

**ატლანტა 110:92 ტორონტო**

მართალია, ამ შეხვედრაში ზაზა ფაჩულიამ თავი ბევრით ვერაფრით გამოიჩინა, მაგრამ მთავარი მაინც მისი გუნდის ზედიზედ მეოთხე გამარჯვება იყო. ნბა-ს რეგულარულის პირველი ოთხი მატჩიდან „ქორებმა“ ყველა მოიგეს.

ამაში განსაკუთრებული როლი ჯორჯიელთა უკანახაზელმა მაიკ ბიბიმ შეასრულა, რომელმაც 19 ქულასთან ერთად, 12 შედეგიანი გადაცემაც ჩამოურიგა თანაგუნდელებს.

ისე, ერთი საინტერესო ფაქტიც მოხდა ამ თამაშში, ორივე გუნდის მოთამაშეებიდან ერთმაც ვერ შეძლო ათი ან მეტი მოხსნის გაკეთება.

ფაჩულიამ კი ბოლო თამაშებში საოცრად მოუკლო, ის ველარც მოხსნებზე გამოირჩევა და ვერც შეტევაში ბრწყინავს. კარგი იქნება, თუ ეს დიდიხანს არ გაგრძელდება.

**ზაზა ფაჩულია:** *12 წუთი, 2 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი, 1 დაკარგვა, 4 პერსონალური შენიშვნა. 2-დან 1 ორქულიანი.*

**კიევი: 110:70 სუმიხიმპრომი**

საქართველოს ჩემპიონი „ენერჯიინვესტის“ ევროთასებზე დამმარცხებელი უკრაინული „სუმიხიმპრომი“ ჩემპიონატის შეხვედრაში განადგურდა მანუჩარ მარკოიშვილის „კიევთან“.

ამ თამაშმა კარგად გამოაჩინა სუმელთა რეალური ძალა და შესაბამისად ისიც, თუ სინამდვილეში სად იმყოფება ქართული კალათბურთი რეალურად.

არადა, თავად „კიევი“ რამდენიმე დღის წინ 27 ქულით დამარცხდა ულებ-ის თასზე საბერძნეთის ჩემპიონატის არაფრით გამორჩეულ გუნდთან.

ჩვენმა კალათბურთელმა მანუჩარ მარკოიშვილმა ამ შეხვედრაში ათი ქულაც ვერ დააგროვა, სამაგიეროდ, საოცრად გუნდურად ითამაშა და თავისი კლუბის წარმატებაში სერიოზული წვლილიც შეიტანა. რაც მთავარია, კიდევ დაამტკიცა, რომ კიეველთათვის ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა.

„სუმიხიმპრომთან“ გამარჯვება კიევისთვის“ უკრაინის ჩემპიონატში მოპოვებული ზედიზედ მეექვსე მოგება იყო. მათ ჯერ ერთი მატჩიც არ წაუგიათ და ერთპიროვნულად ლიდერობენ სუპერლიგას. მეორე ადგილზეა შარშანდელი ჩემპიონი „აზოვმაში“, რომელმაც წინა სეზონის ფინალში სწორედ „მანუს“ და მის თანაგუნდელებს სძლია.

**მანუჩარ მარკოიშვილი:** *25 წუთი, 6 ქულა, 4 მოხსნა, 6 შედეგიანი გადაცემა, 2 ჩაჭრა, 1 დაკარგვა, 4 პერსონალური შენიშვნა, 4-დან 2 ორქულიანი, 2-დან 0 სამქულიანი 2-დან 2 საჯარიმო.*

**როკი 91:72 რაკვერე ტარვის**

ესტონეთის ჩემპიონატში თავისი მეორე შეხვედრა ჩაატარა გიორგი ცინცაძისა და ვიქტორ სანიკიძის ტარტუს „როკმა“. ორივე ქართველი შაბათს თავისი გუნდის სასტარტო ხუთეულში იყო.

ძალიან დიდი დრო მოედანზე არც ერთ ჩვენიანს არ გაუტარებია. ერთმა — 19, მეორემ 20 წუთი დაჰყო მოედანზე. გიორგი ცინცაძემ ამჯერადაც მოახერხა 10-ზე მეტი ქულის დაგროვება. ვიქტორ სანიკიძე კი ისევ თავისი გუნდის დაცვითი თამაშის მთავარი შემოქმედი გახლდათ.

უკვე რამდენიმე წელია, „როკს“ შიდა ჩემპიონატში, ფაქტობრივად, არარანაირი პრობლემები არ ექმნება, წინააღმდეგობას კი მხოლოდ „კალევი“ უწევს.

მას შემდეგ, რაც ტარტუელები ევროთასს გამოეთხოვნენ, მათი მთავარი საზრუნავი შიდა ჩემპიონატი და ბალტიის თასი გახდა. ახლა სწორედ ამ ორ ტურნირზე უნდა მოახერხონ ქართველებმა და მათმა თანაგუნდელებმა კარგი თამაში.

ჯერჯერობით ამ მხრივ ყველაფერი კარგად მიდის, ესტონეთის ჩემპიონატშიც და ბალტიის თასზეც ტარტუს „როკი“ ლიდერთა შორის იმყოფება.

**გიორგი ცინცაძე:** *19 წუთი, 12 ქულა, 1 მოხსნა, 3 პასი, 1 ჩაჭრა, 3 დაკარგვა, 3 პერსონალური შენიშვნა, 1-დან 1 ორქულიანი, 1-დან 1 სამქულიანი, 7-დან 7 საჯარიმო.*

**ვიქტორ სანიკიძე:** *20 წუთი, 4 ქულა, 9 მოხსნა, 2 პასი, 1 დაკარგვა, 1 პერსონალური შენიშვნა, 1-დან 0 ორქულიანი, 1-დან 0 სამქულიანი, 4-დან 4 საჯარიმო.*

**გიორგი არაბული**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. სუპერლიგა
IV ტური. 9 ნოემბერი. სპორტის სასახლე

# რამდენი კაცი სჭირდება შეცდომების დათვლას?

**მაკაბი 59:78 სსსუ**
*13:28 15:14 15:22 16:14*

მაკაბი: ლონდარიძე (10), იოსელიანი, აბმედიანი (10), ანთაძე (5), კილაძე (11), ელიკაშვილი (2), ჯანგველაძე (4), ბიბილაური (8), ივანიშვილი, არონია (2), სუდაძე (5), მჭედლიშვილი (2)
სსსუ: გულისაბედაშვილი (4), თვაური, მ. ბერიშვილი (13), მარხვაშვილი; გასიცაშვილი (6), ცერცვაძე, ტყეშელაშვილი (14), ათანელიძე (8), გვიმრაძე (14), ჩაჩიბაია (13), ბოქოლიშვილი (6)
მსაჯები: მაკა კუპატაძე, ლევან მიქელაძე
კომისარი: როლანდ ხომერიკი

**შსს 62:73 ბათუმი**
*9:15 11:24 16:9 26:25*

შსს: მიქაბერიძე (7), ბერუაშვილი (3), ნოზაძე (2), ნინუა (13), პატარაია (6), ქვილითაია, გოლეთიანი (18), პეიქრიძე (1), გურგენიძე, აბულაძე (10), ბაქრაძე (2), ბერია
ბათუმი: გვაზავა, თავართქილაძე (8), ჩხატარაშვილი (8), დოლიძე (3), ნოზაძე (5), ჩხაიძე, კუშელავა (13), ბერიძე, ბოლქვაძე (4), იმნაძე (17), ელიაშვილი (8), კვერნაძე (7)
მსაჯები: ლევან ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე
კომისარი" როლანდ გელოვანი

**თსუ 69:81 ენერჯი-ინვესტი**
*21:29 15:10 10:20 23:22*

თსუ: დ. ბერიშვილი (8), გაფრინდაშვილი (2), მ. ბარბაქაძე (7), კოხრეიძე, შანიძე (20), მარკოიშვილი (21), ყველაშვილი, ხეცურიანი (2), ახალკაცი, დ. ბარბაქაძე (9), დეკანოიძე
ენერჯი-ინვესტი: გამყრელიძე (13), ბაბიაშვილი, ლეჟავა (19), დიდია (6), ტულუში (17), უგრეხელიძე (13), არწივიძე (3), ტუჯანი (6), ჭოჭუა
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ლევან ბერეკაშვილი
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**დინამო 66:80 ნტდ**
*14:22 20:17 22:24 10:17*

დინამო: ბარაძე, ნანიტაშვილი, სორდია (20), ლაფანაშვილი (5), სიგუა (4), კორკოტაძე (12), ქადარია (4), ლანიაშვილი (8), ხიზანიშვილი (13)
ნტდ: ჩიტაშვილი (8), ფაშაევი (4), ტეტელაშვილი (1), სარიევი (17), ნეფტალიევი (4), მამაცაშვილი, გლოველა (1), კეიდია (2), კოლუაშვილი (8), ბახშიევი (19), სურიშვილი (6)
მსაჯები: ხატუნა გაბედავა, დავით არეშიძე
კომისარი: ნოდარ ქურიძე




**სუპერლიგის** მეოთხე ტურის ცენტრალური მატჩი თსუ — „ენერჯი ინვესტის“ იყო. ამიტომ ქრონოლოგიას დავარღვევთ და ამბის თხრობას ამ თამაშით დავიწყებთ.

რუსთაველებმა საქმეს თავიდანვე სერიოზულად მოჰკიდეს ხელი და ნელ-ნელა ანგარიშის გაზრდა დაიწყეს, რასაც უნივერსიტეტელები დიდად ვერც უშლიდნენ ხელს. პირველ ტაიმში ყველაზე დიდი სხვაობა ათი ქულა დაფიქსირდა, მაგრამ ტაიმის მიწურულს თსუ-მ ანგარიში შეალამაზა და 36:39 წააგო.

მეორე ნახევარი „ენერჯიმ“ ასევე ცოცხლად დაიწყო, მაგრამ მალევე ოთხ-ოთხი პერსონალურის გამო დავით უსტიაშვილის, დავით უგრეხელიძის და გიორგი გამყრელიძის სკამზე დასმა მოუწია, რაც თითქოს თსუ-სთვის კარგი შანსი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რუსთაველთა ფარქვეშეთი მათთვის მაინც აულებელ ციხესიმაგრედ რჩებოდა.

„ენერჯი“ დაცვაში კომპაქტურად თამაშობდა და მეტოქეს კონტრშეტევაზე ადვილად იჭერდა. სტუდენტები ძალიან ნელა მოძრაობდნენ და უფანტაზიოდ უტევდნენ. აკი დაუყვირა კიდეც რამდენჯერმე ნუგზარ ჭეიშვილმა შეგირდებს, ტემპს მოუმატეთო, მაგრამ... ბოლო პერიოდი თსუ-მ კი მოიგო, მაგრამ „ენერჯის“ საქმე სანერვიულოდ არ გაუხდია და გამარჯვებაც იოლად მოიპოვა...

თსუ — „ენერჯის“ ცენტრალური კი ერქვა, მაგრამ „დინამო — ნტდ-ს მატჩი უფრო დაძაბული გამოვიდა ყოველ შემხთვევაში, ინტრიგა მეტი იყო და გამარჯვებულის ვინაობას ადვილად ვერ გამოიცნობდა კაცი. თავიდან ნტდ გაიქცა წინ, ძირითადად მოძრავი უკანახაზელების დახმარებით. „დინამომ“ დაწინაურება მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლო — 48:46 და მოგების იმედიც მიეცა, მაგრამ იმდენ შეცდომებს უშვებდნენ, რომ ბარე ორი ადამიანი ვერ დაითვლიდა.

ნტდ კი ნაკლებად სცოდავდა და მეტწილად ამის წყალობით მოიგო კიდეც.

**ლევსო მაისურაძე**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სსსუ | 4 | 3 | 1 | +48 | 7 |
| ენერჯი | 3 | 3 | 0 | +47 | 6 |
| ნტდ | 3 | 3 | 0 | +29 | 6 |
| ავია | 3 | 2 | 1 | +54 | 5 |
| ბათუმი | 3 | 2 | 1 | -22 | 5 |
| თსუ | 4 | 1 | 3 | +6 | 5 |
| დინამო | 4 | 1 | 3 | -73 | 5 |
| შსს | 4 | 1 | 3 | -27 | 5 |
| მაკაბი | 4 | 0 | 4 | -62 | 4 |



# ლაშა გამყრელიძე: ოღონდ დარბაზი გაივსოს

საქართველოს ნაკრებისა და „ენერჯი-ინვესტის“ მოთამაშე ლაშა გამყრელიძე კალათბურთს 16 წლიდან თამაშობს. მესამე წელია „ენერჯი ინვესტშია“, იქამდე ერთი წელი ავსტრიაში ითამაშა. ჯერჯერობით გუნდის გამოცვლას არ აპირებს, თუმცა დიდი სიამოვნებით ითამაშებდა „ბარსელონაში“. სპორტულად ცხოვრობს: ვარჯიში, დასვენება, ვარჯიში და ცოტაც გართობა. ლაშა გამყრელიძეს სპორტის სასახლეში სუპერლიგის ტურში თსუ-სთან მატჩის წინ შევხვდით...

— როგორ დაიწყო შენი კარიერა?

— თავიდან ბავშვთა ლიგაში ვთამაშობდი — „ტიტებში“, რომელიც ქვეყნის 5-გზის ჩემპიონები იყვნენ. „ტიტებში“ 16 წლამდე ვიყავი, შემდეგ უმაღლესი ლიგის გუნდებმა ამიყვანეს: „შევარდენი“, უნივერსიტეტი, აკადემია... ყველაზე ძლიერი გუნდი, სადაც ორი წელი ვითამაშე, „დინამო“ იყო. ვთამაშობდი ავსტრიაშიც. იქიდან დაბრუნების შემდეგ „ენერჯი ინვესტში“ ვარ.

— რა განათლება გაქვს მიღებული?

— დავამთავრე უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი. სპორტიდან წასვლას ჯერ არ ვაპირებ, მაგრამ შემდეგ, ალბათ, ჩემ პროფესიას გავყვები. შესაძლოა, ბიზნესითაც დავინტერესდე.

— ნაკრებში რეგულარულად გიწვევენ...

— მეხუთე წელია, ნაკრებში ვარ, შემადგენლობის გადასინჯვა სისტემატიურად ხდება და თუ ფორმაში არ ხარ, არავინ აგიყვანს.

— ქართველი კალათბურთელებიდან ვის თვლით საუკეთესოებად?

— ბევრი კარგი მოთამაშე გვყავს, ყველასთან ვმეგობრობ და კარგი ურთიერთობა მაქვს. ვერავის გამოვარჩევ. ბევრი მათგანი უცხოეთში თამაშობს. სანიკიძე, ცინცაძე, ცქიტიშვილი, ბოისა. ძალიან კარგი ახალგაზრდა თაობა მოდის.

— „ენერჯი-ინვესტი“ ახლა ყველაზე ძლიერ გუნდად ითვლება საქართველოში. მაგრამ ევროთასზე უკრაინელებთან დიდი სხვაობით დამარცხდით. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ „ენერჯი-ინვესტის“ სიძლიერე მხოლოდ სხვა ქართული გუნდების სისუსტითაა განპირობებული?

— „სუმიხიმპრომი“ 3 თვის შეკრებილი იყო, ჩვენ კი მხოლოდ ერთი კვირის. ასეთ დონეზე თამაშის მოგებას სერიოზული მომზადება სჭირდება.

— ბოლო დროს პოპულარული ხდება ქუჩის კალათბურთი? შენ თუ თამაშობ-ხოლმე?

— ადრე ვთამაშობდი. ახლა უფლება აღარ მაქვს, თუმცა არც სურვილი. შეიძლება სერიოზული ტრავმა მიიღო.

— არაერთხელ თქმულა ნაკრების წევრებს შორის დაპირისპირებაზე...

— არა, ეს ინფორმაცია არასწორია. წელს რა შედეგებსაც მივაღწიეთ, გუნდის ერთიანობის შედეგია. საქართველოს ნაკრებში ყველა ერთმანეთის მეგობარია.

— სუპერლიგას დაკარგული ქულებით „ენერჯი-ინვესტი“ ლიდერობს. რომელი გუნდები მიგაჩნია ძლიერ და რეალურ მეტოქეებად?

— ფავორიტებად ვითვლებით, რადგან ორგზის ჩემპიონები ვართ. ძლიერი გუნდებია ნტდ, თსუ, ავიამშენი, სასოფლო.

— კალათბურთის მატჩებზე მაყურებელთა სიმცირეა. ამის გამო, ალბათ, გული გწყდებათ?

— ყოველთვის ვამბობ, რომ მაყურებელი ძალიან მნიშვნელოვანია. პირადად მე, როცა მაყურებელია დარბაზში, თამაში მიხარია. მირჩევნია სავსე დარბაზში წავაგო, ვიდრე დარბაზი ცარიელი იყოს. ამიტომაც მიყვარს რუსთავში თამაში, დარბაზი სავსეა-ხოლმე.

— ქუჩაში თუ გცნობენ?

— ხანდახან მცნობენ. როცა ეუბნები, რომ ნაკრების წევრი ხარ, უხარიათ შენი წარმატება.

— უცხოეთში წასვლას ხომ არ გეგმავ?

— ჯერჯერობით არა. საქართველოში ვრჩები. წარმატებული სეზონის იმედი მაქვს.

**სალომე ძლიერიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პატარა ვერას ვინუსი შეეყარა

**ქალები**
წლის შემაჯამებელი ტურნირი
დოჰა. ყატარი
საპრიზო 4 550 000 დოლარი

### წითელი ჯგუფი

**ელენა დემენტიევა** (4, რუსეთი) — ნადია პეტროვა (რუსეთი) 6:4 4:6 6:4

### თეთრი ჯგუფი

**ვერა ზვონარიოვა** (8, რუსეთი) — ელენა იანკოვიჩი (1, სერბეთი) 2:6 6:3 6:4; **აგნეშკა რადვანსკა** (პოლონეთი) — სვეტლანა კუზნეცოვა (6, რუსეთი) 6:2 7:5

### ნახევარფინალი

**ზვონარიოვა** — დემენტიევა 7:6 3:6 6:3; **ვინუს უილიამსი** (7, აშშ) — იანკოვიჩი 6:2 2:6 6:3

### ფინალი

**ვ. უილიამსი** — ზვონარიოვა 6:7 6:0 6:2

ძალიან უცნაური გამოდგა 2008 წლის ქალთა სეზონის შემაჯამებელი ტურნირის ჯგუფური ეტაპის ბოლო სათამაშო დღე — უკანასკნელ შეხვედრებში ორი ახალი ჩოგბურთელი ვიხილეთ, რადგან ტრავმების გამო კორტზე გასვლა ვერ შეძლეს ანა ივანოვიჩმა და სერენა უილიამსმა. თურმე ამერიკელს ფეხის კუნთი გაუწყვეტია დასთან, ვინუსთან შეხვედრაში და ამის გამოც წააგო ის შეხვედრა. სერენას ჯგუფიდან გასვლის შანსი მაინც ჰქონდა, ოღონდ საამისოდ ელენა დემენტიევა უნდა დაემარცხებინა. თუმც უცმროსი შავდა ექიმების ნებას დაჰყვა და დასვენება არჩია.

სერენას ადგილი ნადია პეტროვამ დაიკავა, რომელიც სასწრაფოდ გამოიძახეს დოჰაში. რუსიც მალე ჩაფრინდა ყატარში და დემენტიევას ნამდვილი ომიც გაუმართა, მაგრამ მესამე სეტში დაღლილობა დაეტყო და ნახევარფინალის საგზური თანამემამულეს დაუთმო.

ივანოვიჩზე კი, რომელიც სხვათა შორის ხუთშაბათს 21 წლისა შესრულდა, აქამდეც ვწერდით, რომ აზიაში რაღაც ვირუსი შეეყარა და მთლად ჯანზე ვერ იყო. სერბმა ლამაზმანმაც, რომელსაც უკვე დაკარგული ჰქონდა ნახევარფინალში გასვლის შანსი, ტყუილად თავი აღარ მოიკლა და ორგანიზატორებს თამაშზე უარი შეუთვალა.

ანას ადგილი აგნეშკა რადვანსკამ დაიკავა. მართალია, პეტროვასგან განსხვავებით, პოლონელს წინსვლის შანსი არ ჰქონდა, მაგრამ ის მაინც სიამოვნებით გაემგზავრა ყატარში. თუმც ამაში გასაკვირი არაფერია, რადაგანც თუნდაც ერთი მატჩის ჩატარება ასეთი დონის ტურნირზე, რადვანსკასთვის შეუფასებელი გამოცდილებაა. პოლონელმაც არ ითაკილა ჩოგნაობა და მშვენირი შთაბეჭდილებაც დატოვა, როცა სვეტლანა კუზნეცოვა პირწმინდად გააკრა ბეჭებზე. ამ რუსმა დოჰაში სამივე შეხვედრა დათმო და ტურნირის დაწყებამდე რომ იქადნებოდა, არიქა და დოჰაში მარტო მოგებაზე ვიგეშებიო, სასაცილოდ გაიხადა საქმე.

ტურნირის უდავო აღმოჩენა კი, ფინალში რაც არ უნდა მოხდეს, ვერა ზვონარიოვაა. ეს რუსი უბრალოდ დაფრინავს და ერთმანეთის მიყოლებით ამარცხებს კლასით მაღალ მეტოქეებს. ჩოგბურთელმა, რომელმაც ტურნირზე თამაშის უფლება ყველაზე ბოლომ გაინაღდა, ფინალისკენ სავალ გზაზე არავინ დაინდო. არადა, აქამდე ზვონარიოვას უმაღლესი მიღწევა მეორე კალიბრის ტურნირის მოგება გახლდათ — ახლა კი სეზონის საუკეთესო მეჩოგნეთა შორის გაილაღა.

მოგეხსენებათ, რომ ამ რუსმა ტურნირი კუზნეცოვას გასილაქებით დაიწყო, რომელსაც მალე ივანოვიჩიც ზედ მიაყოლა. შემდეგ ზვონარიოვას თეთრი ჯგუფის პირველი ადგილისთვის ელოდა ჯახი მსოფლიოს პირველ ჩოგნათან. თუმც აქ მთავარი ის იყო, რომ ამ ბრძოლის მომგები ნახევარფინალში ვინუს უილიამსს ასცდებოდა. რუსმა აქაც იყოჩაღა და იანკოვიჩი სამ სეტში დაჩაგრა.

ნახევარფინალში ზვონარიოვა თანამემამულე დემენტიევას გადააწყდა და უმძიმეს ბრძოლაში დასცა. განსაკუთრებით დაძაბული პირველი სეტი გამოდგა, სადაც ვერა სულ უკან იყო — ჯერ 1:4-ს აგებდა, შემდეგ 3:5-ს, თუმც ზვონარიოვამ თავი დააღწია ამ გასაჭირს და საქმე ტაიბრეიკამდე მიიყვანა, სადაც იხეირა და დაწინაურდა კიდეც.

თუმც დემენტიევა იოლად დანებებას არ აპირებდა. ფინალში გასვლის შემთხვევაში ის რეიტინგში მესამე საფეხურამდე აღზევდებოდა და ამით გულანთებულმა მეტოქეს ისეთი ტემპი შესთავაზა, რომელსაც ზვონარიოვამ ვერ გაუძლო. მალე ანგარიში გათანაბრდა და მესამე სეტი დაინიშნა. აქ ბევრს ალბათ ოლიმპიადის ნახევარფინალი გაახსენდა, სადაც ასეთივე თანაბარ ჯახში დემენტიევამ კლასის წყალობით მოიგო. თითქოს აქაც იგივე უნდა განმეორებულიყო, მაგრამ ზვონარიოვამ დაამტკიცა, რომ ზაფხულში მიღებული გაკვეთილიდან სწორი დასკვნები გამოიტანა და უკვე თვითონ შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა — ვერა უცბად დაწინაურდა, 3:0 და ეს უპირატესობა მატჩის ბოლომდე აღარ გაუშვა.

„ვერც კი ვიფიქრებდი, რომ ფინალში გასვლას მოვახერხებდი. ეგ კი არა, იმაზე ვოცნებობდი, ჯგუფში ერთი შეხვედრა მაინც მოვიგო-მეთქი. მაგრამ ყველაფერი იდეალურად აეწყო და ახლა ტიტულისთვის ვიბრძოლებ, რასაც სულსა და გულს ჩავაქსოვ" — სტანდარტული ფრაზებით შემოიფარგლა ზვონარიოვა.

ფინალში კი რუსს ალბათ ყველაზე ძნელი გამოცდა ელის, რადგანაც აშკარად საუკეთესო ფორმაში მყოფ ვინუს უილიამსს შეხვდება. ზვონარიოვასი არ იყოს, ამერიკელიც დაუმარცხებლად შეგრიალდა ფინალში. სხვათა შორის, ვინუსიც პირველად ითამაშებს წლის შემაჯამებელი ტურნირის სატიტულო მატჩში. წინა ორ შემთხვევაში უფროსმა შავდამ მხოლოდ ნახევარფინალებს უწია, მაგრამ 1999-ში მარტინა ჰინგისთან, 2002-ში კი კიმ კლაისტერსთან დამარცხდა.

როგორც ხედავთ, ვინუსისთვის იღბლიანი მესამე ცდა გამოდგა და მართალია, იანკოვიჩის დამარცხება ძალიან გაუჭირდა, ფინალში მაინც გავიდა. ისე, სერბთან თამაში ამერიკელს მაინდამაინც გულზე არ ეხატებოდა — მათი ბოლო 6 ჯახიდან 5-ში გამარჯვება იანკოვიჩს დარჩენოდა. თუმც უილიამსი ახლა არაფრის დათმობას არ გეგმავდა და ჯიუტი სერბი სამსეტიან ჯახში მაინც გატეხა.

„ელენა დღეს ალბათ ყველაზე მებრძოლი მეჩოგნეა და ამიტომ მასთან ყოველწამს მზად უნდა იყო ნებისმიერი მოულოდნელობისთვის. დღეს ჩვეულად აგრესიულად არ მითამაშია, სამაგიეროდ, უფრო აკურატული ვიყავი და ამან გაამართლა კიდეც" — თავისი გამარჯვების მიზეზები ახსნა ნამატჩევს ვინუსმა.

**ბაჩა ლომაშვილი**



ვინუს უილიამსი



ნოვაკ ჯოკოვიჩი

# შანხაი ოქროთი დაიწყო

**კაცები**
მასტერსის თასი
შანხაი. ჩინეთი
ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 4 450 000 დოლარი

### ოქროს ჯგუფი

**ნოვაკ ჯოკოვიჩი** (2, სერბეთი) — ხუან მარტინ დელ პოტრო (7, არგენტინა) 7:6 6:3; **ნიკოლაი დავიდენკო** (4, რუსეთი) — ჟო-ვილფრედ ცონგა (6, საფრანგეთი) 6:7 6:4 7:6

შანხაიში გუშინ კაცების წლის შემაჯამებელი ტურნირი დაიწყო. მოგეხსენებათ, ამ ტურნირს მასტერსის თასსაც ეძახიან და ქალების არ იყოს, აქაც სეზონის ზერევეული იყრის ხოლმე თავს. აქვე მოგახსენებთ იმასაც, რომ ეს ტურნირი ბოლოჯერ ტარდება შანხაიში, მომავალი წლიდან კი ლონდონში გადაინაცვლებს.

სანამ ჯგუფების შემადგენლობასა და უკვე გამართული შეხვედრების პერიპეტიებზე გადავიდოდეთ, ერთ სხვა ამბავზე უნდა შევჩერდეთ — რამდენიმე დღის წინ მოგახსენეთ და ახლაც გავიმეორებთ, რომ ტრავმის გამო ჩინეთში ჩასვლა ვერ შეძლო მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა რაფაელ ნადალმა. ესპანელს მუხლი სტკივა და თან იმდენად სერიოზულად, რომ შანსია, თავის ნაკრებს დევისის თასის ფინალშიც კი ვერ დაეხმაროს.

შანხაიში რაფას ადგილი ჟილ სიმონს დაუთმეს — რეიტინგში ფრანგს მეცხრე ადგილი უკავია.

თავად ტურნირი კი იმავე ფორმატით ჩაივლის, როგორც დოჰაში ქალთა შეჯიბრი გაიმართა — ჩოგბურთელები ორ, ოქროსა და წითელ ჯგუფში განაწილდნენ, სადაც ყველა ყველას შეხვდება. ჯგუფის პირველ-მეორე ადგილოსნები ნახევარფინალში გადიან, სადაც ერთმანეთს ჯვარედინად დაეტაკებიან და სატიტულო მატჩში მოსახვედრად იბრძოლებენ.

წითელ ჯგუფში ნადალის მაგივრად პირველ ნომრად განთესილი როჯერ ფედერერი, ენდი მიურეი, ენდი როდიკი და უკვე ნახსენები სიმონი მოხვდნენ. ოქროს ჯგუფიდან გასასვლელად კი ნოვაკ ჯოკოვიჩი, ნიკოლაი დავიდენკო, ჟო-ვილფრედ ცონგა და ხუან მარტინ დელ პოტრო იბრძოლებენ.

ტურნირი ოქროს ჯგუფის მონაწილეებმა გახსნეს. პირველები კორტზე ჯოკოვიჩი და დელ პოტრო გავიდნენ. შეხვედრა მთლიანად სერბის უპირატესობით ჩაიარა, რომელიც მატჩის დიდი ნაწილის განმავლობაში სიტუაციის ბატონ-პატრონი გახლდათ. ბალკანელმა მალევე გააკეთა ბრეიკი და წინაც გაიჭრა, 3:1 წესით, ნოვაკს სეტის მოგება არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ დელ პოტრომ შეძლო მეტოქის საპასუხოდ გატეხვა და ანგარიში გაათანაბრა, 5:5. თითქოს ყველაფერი ტაიბრეიკისკენ მიდიოდა, მაგრამ სერბმა იქვე აღადგინა ძველი სტატუს-კვო, კიდევ ერთი ბრეიკი გააკეთა, შემდეგ საკუთარი მოწოდებაც აიღო და სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მეორე პარტია უკეთ უკვე არგენტინელმა დაიწყო, მაგრამ ჯოკოვიჩი არ იყო მატჩის გაჯანჯლების ხასიათზე, ამიტომ მალევე აინაზღაურა დაკარგული და ცოტა ხანში კიდევ ერთხელ იყოჩაღა მეტოქის მოწოდებაზე, რითაც მატჩის ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა. სხვათა შორის, მასტერსის თასზე სერბმა კარიერაში პირველად იხეირია — შარშან, თავისი დებიუტისას, მან შანხაიში სამივე შეხვედრა დათმო.

კიდევ უფრო საინტერესო და დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა ნიკოლაი დავიდენკოსა და ჟო-ვილფრედ ცონგას შორის. თავიდან თანაბარი თამაში მიდიოდა, მეტოქეები დიდებულად გამოიყურებოდნენ საკუთარ მოწოდებაზე და ამის ხარჯზე სტაბილურად აგროვებდნენ ქულებს. შედეგად საქმე საჩოგბურთო ლატარიამდე მივიდა, სადაც ფრანგს უფრო მყარი ნერვული სისტემა აღმოჩნდა და დაწინაურდა კიდეც.

თუმც დავიდენკომ შეძლო მატჩში გარდატეხის შეტანა, რაც პირველ რიგში, იმის ხარჯზე შეძლო, რომ ცონგას გიჟურ მოწოდებებს ალღო აუღო. რუსმა უკანა ხაზზე მოძრაობას უმატა და ამის წყალობით ადვილად ახერხებდა ბადესთან გასვლის მოყვარული მეტოქის მოტყუებას. ასე რომ, დავიდენკომ ანგარიშიც გაათანაბრა და მესამე სეტიც აღმაფრენით დაიწყო, როცა 3:0 დაწინაურდა.

ცონგას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან არ დაყარა ფარ-ხმალი და ბოლომდე იომა, საქმე კიდევ ერთ ტაიბრეკამდეც მიიყვანა, მაგრამ ამაზე მეტს ვერაფერს გამორჩა — აქ ფრანგმა კინკილა ქულის აღება ველარ შეძლო და ნულზე დამარცხდა. დავიდენკომ კი ამ მოგებით სერიოზული ნაბიჯი გადადგა ნახევარფინალისკენ.

**ბაჩა ლომაშვილი**

რაგბი

# ფანჯარაში ტესტებია

## სამხრეთელი ბობოლები ევროპას სტუმრობენ

ევროპულ რაგბიში საკლუბო ფანჯარაა და ნაკრებებსაც ტრადიციული საშემოდგომო ტესტებისთვის ხელ-ფეხი გაეხსნათ. ყველა სამხრეთელ ბობოლას, ძველ სამეულსა (ახალი ზელანდია, ავსტრალია, სამხრეთ აფრიკა) და ბოლო წლებში არნახულად მოღონიერებულ არგენტინას ევროპაში გადაუსხამთ დესანტი და იქაურ რჩეულ ნაკრებებს ცდიან. გასულ შაბათს მხოლოდ არგენტინა დამარცხდა. ვნახოთ, რა მოხდება შემდეგ უქმეებზე. ამ ჯერზე კი...



მარტინ ჯონსონმა სამწვრთნელო კარიერა გამარჯვებით დაიწყო

**შოტლანდია 6:32 ახ. ზელანდია**

მართალია, „ოლ ბლექსის“ ბებერმა თავკაცმა გრემ ჰენრიმ ევროპის ექვსი ერის მეორე ეშელონის წარმომადგენელ შოტლანდიას შესამჩნევად გადახალისებული გუნდი დაახვედრა, მაგრამ მის შეგირდებს მაინც არ გასჩენიათ ოდნავი პრობლემაც კი. ჰენრიმ შეცვლაზე ათამაშა თანამედროვე რაგბის ორი სუპერვარსკვლავი — დენ კარტერი და რიჩი მაკქოუ, ხოლო 15-ეულში ჯო როკოკო დააბრუნა. ამ უკანასკნელს 5-წლიან სანაკრებო კარიერაში 40-ზე მეტი ლელო გაუტანია და იოლად გადაასწრებდა „ოლ ბლექსის“ ყველა დროის საუკეთესო მელელოვე დაგ ჰაულეტს (49 ლელო), მწვრთნელს ბოლო ორ წელიწადში სტაბილურად რომ ეთამაშებინა.

როკოს ამ ჯერზე ლელო არ გაუტანია, სხვებს გაჰქონდათ და 80 წუთში სტუმრებმა სქოთებს ოთხჯერ გაუჭრეს დაცვა. მასპინძლებს ვერც „მარიფილდზე“ მისულმა 50-ათასმა ქომაგმა უშველა. უბრალოდ, ისინი არასაკმარისად ძლიერები არიან ასეთ მეტოქესთან ტოლ-სწორად საბრძოლველად.

**იტალია 20:30 ავსტრალია**

შოტლანდიისგან განსხვავებით, ღირსეულად დამარცხდა ექვსი ერის კიდევ ერთი აუტსაიდერი იტალია, რომელიც მომცრო ჩრდილოურ ქალაქ პადოვაში ერთობ მოტივირებული დაუხვდა ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ ავსტრალიას. ლელოები ბევრი არ გასულა. იტალიელთა მხრიდან გამოცდილი გარემარბი მირკო ბერგამასკო გამოირჩა და დამრტყმელთა შეჯიბრადქცეულ შეხვედრაში თანაბარი ბრძოლა გახურდა. მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე ტაბლოზე 20:20 ენთო. თამაშის ყველა დამსწრეს სენსაციური ფინიშის მოლოდინი უფორიაქებდა გულს, მაგრამ იტალია ვერ შესწვდა ისტორიულ გამარჯვებას. მასპინძელთა იმედებს ცივი შხაპი აპკურა ავსტრალიელთა ახალბედა უკანახაზელმა ქუადე კუკმა, რომელმაც თამაშის ბოლოს დაალელოვა „სკუადრა ადზურა“, მერე კი ჟიტუმ ეს ლელო გარდასახა და საჯარიმოთი წერტილიც დასვა.

**უელსი 15:20 სამხრეთ აფრიკა**

სამხრეთაფრიკელ „ქურციკებს“ ყოველთვის კარგად გამოსდიოდათ უელსელ „დრაკონთა“ წინააღმდეგ თამაში. აფრიკულ ძალას უელსელები ბევრს ვერას უპირისპირებდნენ და თუმცა მოქმედ მსოფლიოს ჩემპიონებს ულამაზეს „მილენიუმზე“ მედგრად დაუხვდნენ, მათი გატეხვა ვერც ამ ჯერზე შეძლეს.

უელსმა უძლიერესი გუნდით ითამაშა და ევროპის ექვსი ერის დიდი სლემით მომგებ მეტოქეს სამხრეთაფრიკელებმაც საკადრისი შემადგენლობა გაუყვანეს — ქარივით ჰაბანაც ჰყავდათ, დაუოკებელი ბურხესიც, ბებერი მეტფილდიც, რატომღაც ბურჯად მოთამაშე ძველი კაპიტანი ჯონ სმიტიც და თითქმის ყველა სხვაც. ჰაბანამ ვერ შეძლო თავისი წილი ლელოს დადება, ეს სხვებმა, კერძოდ, შუამარბებმა — იან დე ვილიერსმა და ადრიან იაკობსმა შეძლეს, ხოლო რუან პინარმა ორივე გარდასახვა გაიტანა და ორიც საჯარიმო დაურთო. უელსელები კი მხოლოდ საჯარიმოებით დაკმაყოფილდნენ — მსოფლიოს ჩემპიონთა დაცვა შეუვალი იყო.

**საფრანგეთი 12:6 არგენტინა**

უდიდეს ინტერესს შობდა საფრანგეთისა და არგენტინის შეხლა მარსელში. არგენტინის თითქმის ყველა მორაგბე ფრანგულ კლუბებში თამაშობს. ჰოდა, 2007 წლის მსოფლიოს თასზე არგენტინამ მასპინძელი საფრანგეთი ჯგუფშიც დაამარცხა და, რაც არანაკლებ მტკივნეული იყო, მესამე ადგილისთვის მატჩშიც და ფრანგებს ახლა მიეცათ სამაგიეროს გადახდის შანსი. თუმც დაძაბული ჯახის სანახავად მისულ მაყურებლებს იმედი გაუცრუვდათ. სანახაობა არ შედგა — ორივე გუნდი ფრთხილობდა და ძალებს აბანდებდა დაცვაში. არგენტინასაც და საფრანგეთსაც ჰყავს მსოფლიო დონის მორბენლები, თუმც ამ შაბათს მათ თავიანთი ოსტატობა არ გამოავლინეს და ფეხით იშორებდნენ ბურთებს. ლელო საერთოდ არ გასულა, კარში დარტყმებში შეჯიბრი კი მასპინძლებმა მოიგეს, რომლებმაც სამი საჯარიმო და ერთი არეკნი გაიტანეს ორი არგენტინული საჯარიმოს წილად.

**ინგლისი 29:13 ოკეანეთი**

ინგლისის ნაკრების თავკაცის პოსტზე წარმატებული დებიუტი ჰქონდა ინგლისური რაგბის ლეგენდას, 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონთა კაპიტან მარტინ ჯონსონს. მისმა გუნდმა ხუთი ლელო გაუტანა სამი ოკეანეთურ სარაგბო სახელმწიფოს — ფიჯის, ტონგასა და სამოას გაერთიანებულ ნაკრებს და მხოლოდ ერთი გაუშვა. ორი ლელო გაიტანა ზანგმა გარემარბმა პოლ საკიმ, თუმც ჯონსონს მასზე მეტად ჯეელმა დამრტყმელმა დენი სიპრიანიმ აამა, ვინც ლელოც გაიტანა, ოთხი გარდასახვაც და ორი საჯარიმოც, რისი წყალობითაც ამ თამაშში პირადად მოინაგრა 19 ქულა. ეს ბიჭი ტრავმებით შეჭირვებული გენიალური დამრტყმელის ჯონ უილკინსონის ღირსეულ შემცვლელად ითვლებოდა, მაგრამ ამა წლის დასაწყისში სიპრიანიმ მთელი ინგლისი შეაშინა, როცა ფეხი კოჭში გადაიტეხა და მისი ახალდაწყებული კარიერა ბეწვზე დაეკიდა, თუმც აგერ, რამდენიმე თვეში ის კვლავ მოედანზეა.

**ირლანდია 55:0 კანადა**

ირლანდიას არაერთხელ შეხვედრია საქართველოს ნაკრები და ჩვენებს ყოველთვის ღირსეულად უბრძოლიათ ამ ევროპულ გრანდთან. განსაკუთრებით ტკბილ-მწარე გასახსენებელია მსოფლიოს თასზე შემდგარი ჯახი, რომელშიც საქართველომ კედელთან მიაყენა მწვანე რაზმი და კინაღამ უდიდესი სენსაცია გამოაცხო, თუმც საბოლოოდ 10:14 დამარცხდა.

სამწუხაროდ, ირლანდია ტესტებში ქართველებთან შეხვედრას უარობს და ისეთ მეტოქეებს უფრო ეძახის, როგორიც თუნდაც კანდაა. რა ხეირს ნახულობს მასთან ასეთი უაზრო შეხვედრით, რომელიც 55:0 მთავრდება, ძნელი სათქმელია...

**ირაკლი ფირაშვილი**

კალათბურთი

## NBA რეგულარული ჩემპიონატი



ლებრონ ჯეიმსმა „ჩიკაგოს“ 41 ქულა ჩაუგდო

7 ნოემბერი

**ატლანტა 110:92 ტორონტო**

ატლანტა: ბიბი (19 ქულა, 12 პასი), ჯონსონი (17), უილიამსი (14), სმიტი (6), პორფორდი (7); მიურეი (16), ევანსი (15), ჯონსი (6), მორისი (6) ლოუ (2), ფაჩულია (12 წუთი, 2 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი), ვესტი
ტორონტო: კალდერონი (6 ქულა, 14 პასი), პარკერი (4), მუნი (4), ბოში (26), ონილი (17); კაპონო (14), ბარნანი (19), ჰამფრიზი (6), სოლომონი (4), გრეჰემი (3)

**შარლოტი 92:89 ნიუ ორლეანი**

შარლოტი: რიჩარდსონი (20), ფელტონი (20)
ნიუ ორლეანი: პოლი (20 ქულა, 10 პასი, 6 ჩაჭრა), სტოიაკოვიჩი (20)

**ვაშინგტონი 108:114 ნიუ იორკი**

ვაშინგტონი: ბატლერი(30), ჯემისონი (24 ქულა, 12 მოხსნა), იანგი (16)
ნიუ იორკი: კროუფორდი (23), რენდოლფი (22 ქულა, 13 მოხსნა), ჩანდლერი (17), რობინსონი (17)

**კლივლენდი 111:107 ინდიანა**

კლივლენდი: ჯეიმსი (27 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი, 4 დაფარება), უილიამსი (21), ვარეჟაო (18), ილგაუსკასი (17)
ინდიანა: გრეინჯერი (33), დანლივი (17 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი)

**ნიუ ჯერსი 103:96 დეტროიტი**

ნიუ ჯერსი: ჰარისი (38), კარტერი (18), ბუნი (18 ქულა, 14 მოხსნა)
დეტროიტი: აივერსონი (24), ჰემილტონი (22), პრინსი (19 ქულა, 11 მოხსნა)

**ბოსტონი 101:89 მილუოკი**

ბოსტონი: პირსი (18 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი), გარნეტი (16)
მილუოკი: ჯეფერსონი (20), ვილანუევა (13 ქულა, 12 მოხსნა)

**სან ანტონიო 83:99 მაიამი**

სან ანტონიო: დანკანი (22 ქულა, 11 მოხსნა), მეისონი (18)
მაიამი: ვეიდი (33 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი), ბისლი (20), ჰასლემი (15 ქულა, 10 მოხსნა)

**ჩიკაგო 100:83 ფინიქსი**

ჩიკაგო: გორდონი (23), როუზი (18), ტომასი (14), დენგი (14)
ფინიქსი: სტუდემაიერი (26), ლოპესი (14)

**იუტა 104:97 ოკლაჰომა**

იუტა: ბუზერი (21), კირილენკო (16 ქულა, 12 მოხსნა), ოქური (16)
ოკლაჰომა: დურანტი (24), გრინი (22), მეისონი (18)

**საკრამენტო 121:109 მინესოტა**

საკრამენტო: მარტინი (26), სალმონსი (23), უდრიჰი (15)
მინესოტა: ლავი (20), მილერი (16), ტელფაირი (15)

**კლიპერსი 83:92 ჰიუსტონი**

კლიპერსი: დევისი (23), კამანი (23 ქულა, 11 მოხსნა)
ჰიუსტონი: არტესტი (23), ლენდრი (20), მინი (16 ქულა, 9 მოხსნა, 5 დაფარება)

**დენვერი 108:105 დალასი**

დენვერი: ენტონი (28 ქულა, 8 მოხსნა, 6 პასი), ილარიო (19), ბილაფსი (15), სმიტი (15), კლეიზა (14)
დალასი: ნოვიცკი (23 ქულა, 10 მოხსნა), კიდი (22 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი), ტერი (20)

**გოლდენ სტეიტი 104:109 მემფისი**

გოლდენ სტეიტი: ჯექსონი (27), ბიედრინში (23 ქულა, 12 მოხსნა), აზუბუკე (21)
მემფისი: გაი (23), მაიო (20), უორიკი (19 ქულა, 10 მოხსნა)

8 ნოემბერი

**ინდიანა 98:80 ნიუ ჯერსი**

ინდიანა: გრეინჯერი (23), მერფი (17 ქულა, 10 მოხსნა)
ნიუ ჯერსი: კარტერი (31), დუდლი (17)

**ორლანდო 106:81 ვაშინგტონი**

ორლანდო: ჰოვარდი (31 ქულა, 16 მოხსნა), პიეტრუსი (18)
ვაშინგტონი: იანგი (20), სტივენსონი (14)

**ნიუ ორლეანი 100:89 მაიამი**

ნიუ ორლეანი: პოლი (21 ქულა, 13 პასი, 7 მოხსნა, 4 ჩაჭრა), ვესტი (21)
მაიამი: ვეიდი (30 ქულა, 10 პასი), ქუინი (14)

**ჩიკაგო 97:106 კლივლენდი**

ჩიკაგო: გორდონი (29), დენგი (20), როუზი (17), ნოჩიონი (16)
კლივლენდი: ჯეიმსი (41 ქულა, 13 პასი), ილგაუსკასი (16)

**მილუოკი 96:104 ფინიქსი**

მილუოკი: სეშენსი (23), ბელი (16), ჯეფერსონი (14)
ფინიქსი: ონილი (29 ქულა, 11 მოხსნა), სტუდემაიერი (24), ნეში (16)

**პორტლენდი 97:93 მინესოტა**

პორტლენდი: როი (24), ოლდრიჯი (24 ქულა, 13 მოხსნა)
მინესოტა: ჯეფერსონი (27), მილერი (14)

ჰოკეი

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

7 ნოემბერი

**კაროლინა 2:1 ოტავა**

0:0 0:1 2:0

0:1 ფიშერი (39), 1:1 ზაიდენბერგი (52), 2:1 კორვო (58)

**კოლუმბუსი 4:3 მონრეალი**

1:1 0:0 2:2 0:0 (1:0 ბულიტებით)

1:0 ამბერგერი (7), 1:1 ტანგეი (16), 1:2 ბრიზბუა (43), 2:2 მეტო (46), 3:2 მოდინი (46), 3:3 ს. კოსტიცინი (60)

**ბუფალო 4:5 ატლანტა**

2:1 2:2 0:1 0:1 (ოვერტაიმში)

0:1 უილიამსი (6), 1:1 მაკართური (9), 2:1 კოტალიკი (19), 2:2 ლიტლი (24), 3:2 აფინოგენოვი (28), 3:3 ლიტლი (36), 4:3 ვანეკი (36), 4:4 უაიტი (48), 4:5 უილიამსი (61)

**ანაჰაიმი 2:5 დალასი**

1:2 0:2 1:1

0:1 ბრინსტრომი (8), 0:2 პერიში (11), 1:2 მორისონი (18), 1:3 პერიში (22), 1:4 პერიში (26), 1:5 რიჩარდსი (50), 2:5 ს. ნიდერმაიერი (51)

8 ნოემბერი

**ბოსტონი 3:1 ბუფალო**

1:1 2:0 0:0

0:1 კონოლი (11), 1:1 ვაიდმენი (18), 2:1 კობასიუ (23), 3:1 სავარი (28)

**აილენდერსი 3:4 პიტსბურგი**

1:0 2:2 0:1 0:0 (0:1 ბულიტებით)

1:0 უაიტი (17), 1:1 კენედი (23), 2:1 ჯეკმენი (29), 3:1 ჯილბერტი (35), 3:2 სტაალი (37), 3:3 კენედი (57)

**ტორონტო 6:3 მონრეალი**

1:0 3:3 2:0

1:0 ჰაგმანი (9), 2:0 გრაბოვსკი (22), 2:1 ლანგი (25), 2:2 პლეკანეცი (30), 3:2 ჰაგმანი (32), 3:3 კოიუვუ (33), 4:3 ანტროპოვი (37), 5:3 კუბინა (42), 6:3 პონიკაროვსკი (57)

**ვაშინგტონი 3:1 რეინჯერსი**

2:0 0:0 1:1

1:0 ლაიხი (10), 2:0 პოტი (18), 2:1 ვოროში (47), 3:1 სიომინი (60)

**ლოს ანჯელესი 5:3 სენტ ლუისი**

1:0 2:0 2:3

1:0 კოპიტარი (4), 2:0 ფროლოვი (28), 3:0 პრეისინგი (39), 3:1 მაკდონალდი (42), 4:1 დაუტი (52), 4:2 ბერგლუნდი (54), 4:3 ბოისი (59), 5:3 ბრაუნი (59)

**კოლუმბუსი 3:1 კალგარი**

1:0 1:1 1:0

1:0 ჩიმერა (5), 1:1 იგინლა (22), 2:1 ბრაშარი (23), 3:1 მალოტრა (49)

**დეტროიტი 3:1 ნიუ ჯერსი**

1:0 1:1 1:0

1:0 ჰოსა (4), 1:1 პარიზე (25), 2:1 ჰოსა (31), 3:1 მოლტბი (45)

**ფილადელფია 1:2 ტამპა**

1:0 0:2 0:0

1:0 ბრიარი (18), 1:1 იოკინენი (28), 1:2 პროსპალი (34)

**კოლორადო 1:0 ნეშვილი**

0:0 1:0 0:0

1:0 ტაკერი (36)

**ფინიქსი 4:1 ფლორიდა**

0:1 2:0 2:0

0:1 ზედნიკი (14), 1:1 მიულერი (31), 2:1 ბედკერი (38), 3:1 იოკინენი (46), 4:1 ბეტკერი (57)

**სან ხოსე 2:1 დალასი**

1:0 0:0 1:1

1:0 ბოილი (8), 1:1 ერიკსონი (44), 2:1 მარლო (60)

**ვანკუვერი 2:0 მინესოტა**

1:0 0:0 1:0

1:0 სალო (14), 2:0 დ. სედინი (58)

# სარბიელი და კრიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჩრდ ირლანდია. I ლიგა | | | | | | |
| | | 10 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 190 | ბელიმენა-ნიური | 2.55 | 3.10 | 2.45 | 1.39 | 1.24 | 1.36 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 10 ნოემბერი | | | | | | |
| 23:15 | 215 | ფრაიბურგი-ზტ.პაული | 1.70 | 3.50 | 4.50 | 1.14 | 1.23 | 1.96 |
| | | შვეიცარია. ჩელენჯლიგა | | | | | | |
| | | 10 ნოემბერი | | | | | | |
| 23:10 | 293 | სტ.გალენი-ვილი | 1.55 | 3.60 | 5.30 | 1.08 | 1.19 | 2.14 |
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 10 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 46 | პარმა-ბარი | 1.75 | 3.10 | 5.25 | 1.11 | 1.31 | 1.94 |
| | | იტალია. სერია C1/B | | | | | | |
| | | 10 ნოემბერი | | | | | | |
| 17:30 | 342 | ტერნანა-გალიპოლი | 2.50 | 2.70 | 3.00 | 1.29 | 1.36 | 1.42 |
| | | ინგლისი. თასი | | | | | | |
| | | 11 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 702 | არსენალი-უიგანი | 1.40 | 4.20 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.62 |
| 23:45 | 703 | ჩელსი-ბარნლი | 1.15 | 5.50 | 13.00 | 1.00 | 1.05 | 3.86 |
| 23:45 | 704 | სტოკი-როტერჰემი | 1.30 | 4.80 | 8.20 | 1.02 | 1.12 | 3.02 |
| 23:45 | 705 | სანდერლენდი-ბლექბერნი | 2.30 | 3.25 | 2.90 | 1.34 | 1.28 | 1.53 |
| 23:45 | 706 | სუონსი-უოტფორდი | 2.00 | 3.10 | 3.60 | 1.21 | 1.28 | 1.66 |
| 23:45 | 707 | ტოტენჰემი-ლივერპული | 3.30 | 3.25 | 2.00 | 1.63 | 1.24 | 1.23 |
| 23:45 | 708 | მანჩესტერი-ქპრ | 1.25 | 5.20 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.42 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 10 ნოემბერი | | | | | | |
| 23:30 | 481 | ტრუა-ბულონი | 2.40 | 2.80 | 3.10 | 1.29 | 1.35 | 1.47 |
| | | რუსეთი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 10 ნოემბერი | | | | | | |
| 20:00 | 47 | მოსკოვი-ცსკა | 5.20 | 3.30 | 1.65 | 2.01 | 1.25 | 1.10 |
| | | ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა | | | | | | |
| | | 10 ნოემბერი | | | | | | |
| 20:15 | 603 | ბოლესლავი-ბანიკი | 2.15 | 3.00 | 3.20 | 1.25 | 1.28 | 1.54 |
| | | დანია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 10 ნოემბერი | | | | | | |
| 22:00 | 637 | მიდტიულანდი-ვეილე | 1.40 | 4.30 | 8.20 | 1.05 | 1.19 | 2.82 |
| | | პორტუგალია. თასი | | | | | | |
| | | 10 ნოემბერი | | | | | | |
| 20:00 | 48 | ნასიონალი-ბრაგა | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 23:55 | 49 | ბენფიკა-ავეში | 1.15 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.77 |

### I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10046 | პარმა-ბარი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10047 | მოსკოვი-ცსკა | 5.00 | 2.10 | 2.00 | 1.47 | 1.42 | 1.02 |
| 10215 | ფრაიბურგი-ზტ.პაული | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10481 | ტრუა-ბულონი | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10637 | მიდტიულანდი-ვეილე | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |

### I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11046 | პარმა-ბარი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11047 | მოსკოვი-ცსკა | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11215 | ფრაიბურგი-ზტ.პაული | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11481 | ტრუა-ბულონი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11637 | მიდტიულანდი-ვეილე | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15046 | პარმა-ბარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15047 | მოსკოვი-ცსკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15215 | ფრაიბურგი-ზტ.პაული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15481 | ტრუა-ბულონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15637 | მიდტიულანდი-ვეილე | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16046 | პარმა-ბარი | 1.25 | 3.40 |
| 16047 | მოსკოვი-ცსკა | 3.60 | 1.23 |
| 16215 | ფრაიბურგი-ზტ.პაული | 1.24 | 3.60 |
| 16481 | ტრუა-ბულონი | 1.70 | 1.95 |
| 16637 | მიდტიულანდი-ვეილე | 1.11 | 5.70 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14046 | პარმა-ბარი | 1.45 | 2.40 |
| 14047 | მოსკოვი-ცსკა | 2.40 | 1.45 |
| 14215 | ფრაიბურგი-ზტ.პაული | 1.45 | 2.40 |
| 14481 | ტრუა-ბულონი | 1.85 | 1.95 |
| 14637 | მიდტიულანდი-ვეილე | 1.20 | 2.60 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)

(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | ნაკ. | მეტ. | 5და მეტ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12046 | პარმა-ბარი | 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12047 | მოსკოვი-ცსკა | 2,5 | 1.80 | 1.80 | 5.00 |
| 12215 | ფრაიბურგი-ზტ.პაული | 2,5 | 2.10 | 1.60 | 4.70 |
| 12481 | ტრუა-ბულონი | 2,5 | 1.60 | 2.10 | 6.00 |
| 12637 | მიდტიულანდი-ვეილე | 2,5 | 2.00 | 1.60 | 5.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13046 | პარმა-ბარი | 1.70 | 1.90 |
| 13047 | მოსკოვი-ცსკა | 1.70 | 1.90 |
| 13215 | ფრაიბურგი-ზტ.პაული | 1.60 | 2.00 |
| 13481 | ტრუა-ბულონი | 1.70 | 1.90 |
| 13637 | მიდტიულანდი-ვეილე | 1.60 | 2.00 |

### გოლი:ლუწი-1თუ კენტი-2

(0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17046 | პარმა-ბარი | 1.85 | 1.95 |
| 17047 | მოსკოვი-ცსკა | 1.85 | 1.95 |
| 17215 | ფრაიბურგი-ზტ.პაული | 1.85 | 1.95 |
| 17481 | ტრუა-ბულონი | 1.85 | 1.95 |
| 17637 | მიდტიულანდი-ვეილე | 1.85 | 1.95 |

**შესაძლოა ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**



დიეგო მარადონა და ალექს ფერგიუსონი

# მე მას ხელი ჩამოვართვი...

**განა** ადამიანს, რომელსაც „ღმერთის ხელი“ აქვს, ყოველდღე ართმევ ხელს? რასაკვირველია, არა და ამიტომაც არ არის გასაკვირი, „მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტანი რიო ფერდინანდი ვარსკვლავჩარტყმული და გაბრუებული რომ დარჩა — მან დიეგო მარადონა ნახა. მაინცდამაინც არც იმ ლივერპულელებს უნდა ვუსაყვედუროთ, დიდი დიეგოს სანახავად ათას მიზეზს რომ იგონებენ.

ერთი სიტყვით, არგენტინის ნაკრების ახალი მწვრთნელი ინგლისში ჩავიდა და იმ ფეხბურთელებს შეხვდა, რომელთათვისაც 1986 წელი და მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში ხელით შეგდებული გოლი ბუნდოვანი წარსულია — მსოფლიოს ყველა დროის (ერთ-ერთი) უდიდესი ვარსკვლავის ნახვამ ცალკე „მანჩესტერის“ კაპიტანი ფერდინანდი აღაფრთოვანა და ცალკე მისი ლივერპულელი კოლეგა სტივენ ჯერარდი.

წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდებოდა მერსისაიდელთა თავკაცი რაფა ბენიტესი, რომლის კაბინეტშიც ფეხბურთელები დაურიდებლად შეცვივდნენ და პირდაღებულები უყურებდნენ, როგორ ელაპარაკებოდა ის დიეგოს.

და რა უნდოდა მარადონას ინგლისში? რა და, მას, როგორც არგენტინელთა თავკაცს, „მანჩესტერში“ კარლოს ტევესი ჰყავს, „ლივერპულში“ კი ხავიერ მასკერანო.

ფერდინანდი, რომელიც შორეულ 86-ში, როდესაც მარადონამ პიტერ შილტონს ორი გოლი (მათ შორის ერთი ხელით და ერთიც — გენიალურად) გაუტანა, მხოლოდ 8 წლისა იყო, ამბობს:

„ჩვენ იმ მოსწავლეებს ვგავდით, რომლებთანაც სკოლაში ვარსკვლავი მივიდა და ავტოგრაფები დაურიგა. ჩემს თვალში ის მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელია. მეტიც, ის ჩემი ბავშვობის მანათობელი შუქურაა. მე მისი ყველა ჩანაწერი მქონდა. იგი საოცნებო ფეხბურთელი იყო, ბავშვობაში მას ვეთაყვანებოდი. ჩემთვის იმაზე მეტი პატივი, რაც წილად მხვდა, წარმოუდგენელია. მე მას ხელი ჩამოვართვი, მოვეხვიე და მასთან ფოტო გადავიღე. ამაზე უკეთეს დაბადების დღეს (ფერდინანდი 7 ნოემბერს 30 წლისა გახდა) ვერც წარმოვიდგენდი“.

- „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი, ფერდინანდის ღრმა რწმენით, მისი და სხვა ფეხბურთელების ასეთ აღფრთოვანებას მხოლოდ მიესალმება.

„ვფიქრობ, ჩვენი მწვრთნელი მარადონას ყოველდღე სტუმრობასაც კი მიესალმებოდა. ამ კაცის ნახვა და მასთან საუბარი ხომ სტანდარტებს ამაღლებს. ყველა მასზე შთაბეჭდილების მოხდენას ცდილობდა. იმედი მაქვს, არგენტინაში რომ ჩავა, იტყვის, დიდი ფეხბურთელი რიო ფერდინანდი ვნახეო“.

თავად სერ ალექსი: „კარგი ვიზიტი იყო. ფეხბურთელებს მასთან შეხვედრა ძალიან გაუხარდათ. ვინ არის მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი, საკამათოა, მაგრამ ორ-სამ საუკეთესოთა შორის ერთ-ერთი რომ არის, ფაქტია“.

და არ გაინტერესებთ, ლივერპულში რა მოხდა? ჯეიმი კარაგერის მამამ ფილ კარაგერმა, რომელიც ინგლისის ნაკრებს მთელი ცხოვრება თავგადაკლული ქომაგობს (და, შესაბამისად, ხელით გატანილი გოლის გამო მარადონა უნდა სძულდეს), შვილის დარეკვაზე, ის ჩვენთან მოდისო, მელვუდში ტაქსი დაიჭირა და იქიდან გამოვარდა თავქუდმოგლეჯილი.

ბენიტესი: „მე მარტო ჯერარდი მყავდა გაფრთხილებული, რადგან მეპატრონეებმა მას მისცეს მოლაპარაკებაზე დასწრების უფლება, მაგრამ ფეხბურთელებმა გაიგეს, მარადონა მოდისო და შემოვარდნენ. თავად მარადონა მოედანზე არ გასულა. ბიჭებმა ოფისში მიაგნეს მას. ის ჩემს კაბინეტში მასკერანოზე დალაპარაკებას ცდილობდა, მაგრამ წუთი ისე არ გაივლიდა, ვინმეს რომ არ დაეკაკუნებინა და არ მისალმებოდა“.

**ბაჩუნა ძიდია**



დიეგო მარადონა და რიო ფერდინანდი



დიეგო მარადონა და უეინ რუნი

## მეთოფეებმა ლენი გაინაღდეს

**ბრაზილიური** „პალმეირასის“ 20 წლის თავდამსხმელი ლენი იანვრიდან ლონდონის „არსენალის“ რიგებში ითამაშებს. „მეთოფეებს“ ახალგაზრდა ფორვარდი სრულიად უფასოდ ერგოთ, რადგან ამ უკანასკნელს „პალმეირასთან“ მოქმედი კონტრაქტი 31 დეკემბერს ეწურება. ლენიმ ბრაზილიის პირველობაზე 34 მატჩი ჩაატარა და ორი გოლიც გაიტანა.

## ფრანგებმა ანრი აღიარეს

**ფრანგული** გამოცემა L'Equipe-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, ამ ქვეყნის ყველაზე საყვარელი სპორტსმენის ვინაობა გამოვლინდა. ეს პატივი ესპანურ „ბარსელონას“ თავდამსხმელ ტიერი ანრის ერგო. საფრანგეთის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირს ხმა გამოკითხულთა 42-მა პროცენტმა მისცა, მეორე ადგილზე 37,8 პროცენტით მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველი ფრანკ რიბერი გავიდა, მესამე პოზიცია კი 34,3 პროცენტით მოცურავე ლორ მანოდუმ დაიკავა.

## ტორესი რონალდუს ემხრობა

**ინგლისური** „ლივერპულისა“ და ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელის ფერნანდო ტორესის აზრით, „ოქროს ბურთის“ მაძიებელთაგან ამ პრესტიჟულ ჯილდოს ყველაზე მეტად პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდუ იმსახურებს.

„კრიშტიანუ რონალდუმ ძალზე ბევრი გააკეთა გასულ სეზონში და „ოქროს ბურთი“ ალალად დაიმსახურა. პორტუგალიელმა „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ერთად მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრი — ჩემპიონთა ლიგა მოიგო და ფინალში გოლი გაიტანა. ამასთან, რონალდუ პრემიერლიგის და მთელი ევროპის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ჩემი აზრით, ვინც კი აქამდე წარდგენილი ყოფილა ამ ტიტულზე, მათ შორის ყველაზე ღირსეული კრიშტიანუა“ — განაცხადა „ელ ნინიომ“.

## კამაჩო ბაჭიას ეპატიჟება

**პამპლონის** „ოსასუნას“ მთავარ მწვრთნელ ხოსე ანტონიო კამაჩოს მადრიდის „რეალიდან“ ხავიერ სავიოლას გადაბირება მოუწადინებია. ერთ დროს ამომავალი ვარსკვლავი, დღეს არგენტინელი ფორვარდი „სამეფო კლუბის“ სათადარიგოთა სკამს იშვიათად შორდება. ასე რომ, მოსალოდნელია, რომ „ბაჭია“ იანვარში ნავარაში გადაბარგდება.

## სიტის შენაძენთა სია

**„მანჩესტერ სიტის“** არაბმა მფლობელებმა შესაძლო შენაძენთა სია ჩამოწერეს. ამ ჩამონათვალში შემდეგი ვარსკვლავები ფიგურირებენ: „მილანის“ ბრაზილიელი გამთამაშებელი კაკა, „ვალენსიას“ თავდამსხმელი დავიდ ვილია, „ბლექბერნ როვერსის“. პარაგვაელი ფორვარდი როკე სანტა კრუსი და ლონდონის „ჩელსის“ მცველი უეინ ბრიჯი.

## ვან ნისტელროის ოპერაცია ემუქრება

**მადრიდის** „რეალის“ თავდამსხმელ რუუდ ვან ნისტელროის, შესაძლოა, იანვრამდეც კი მოუწიოს დასვენება. ჰოლანდიელ ფორვარდს ტურინის „იუვენტუსთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩში მარჯვენა მუხლის მენისკი დაუზიანდა და, სავარაუდოდ, ქირურგიული ჩარევა დასჭირდება.

ეინდჰოვენის პსვ-სა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილმა ფეხბურთელმა 2000 წელს ამ მუხლზე უკვე გადაიტანა ოპერაცია და ამიტომ „სამეფო კლუბის“ ხელმძღვანელობამ ამერიკიდან რიჩარდ სტედმენი მიიწვია — ქირურგი, რომელიც ჰოლანდიელს 8 წლის წინაც დაეხმარა.

## გრანტი სპლიტში?

**ლონდონის** „ჩელსის“ ყოფილი დამრიგებელი ავრაამ გრანტი, სავარაუდოდ, სპლიტის „ჰაიდუკს“ ჩაიბარებს. ებრაელ სპეციალისტს პრემიერლიგის რომელიმე კლუბის გაწვრთნა სურდა, თუმცა, როგორც ჩანს, მას ინგლისის დატოვება მაინც მოუწევს. გრანტი უკვე ესაუბრა ხორვატული კლუბის პრეზიდენტ მატე პორშს და მხარეებს შორის შეთანხმება თითქმის მიღწეულია.

## მოიესს კანა მოუნდა

**ფრანგული** „მარსელის“ ალბანელმა ნახევარმცველმა ლორიკ კანამ ლივერპულის "ევერტონი" დააინტერესა. 25 წლის ფეხბურთელის შეძენის ინიციატივით „კანფეტების“ შოტლანდიელი თავკაცი დევიდ მოიესი გამოდის და თუ მას „გუდისონ პარკზე“ ალბანეთის ნაკრების კაპიტნის ხილვა მართლაც სურს, სულ ცოტა, 9 მილიონი გირვანქის გამოყოფა მოუწევს.

## ბარსა ფაბრეგასს უმიზნებს

**ესპანური** „ბარსელონა“ მზადაა, მომავალ ზაფხულს ლონდონის „არსენალს“ სესკ ფაბრეგასის სანაცვლოდ 30 მილიონი ევრო შესთავაზოს. შესაძლოა, „მეთოფეებმა“ ამ თანხის გარდა კატალონიელებს იაია ტურეც მოსთხოვონ, რომლის უფროსი ძმა კოლო უკვე დიდი ხანია, ლონდონელთა ღირსებას იცავს.

**არჩილ ძოზაბიძე**

## ინგლისი
### პრემიერლიგა
### XII ტური

**არსენალი 2:1 მანჩესტერი**

1:0, 2:0 ნასრი (22, 48), 2:1 რაფაელი (90)
არსენალი: ალმუნია (ფაბიანსკი 78), სანა, გალასი, სილვესტრი, კლიში, უოლკოტი (სონგი 77), ფაბრეგასი, დენილსონი, ნასრი, დიაბი (ტურე 86), ბენდტნერი
მწვთრნელი: არსენ ვენგერი
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ნევილი (რაფაელი 63), ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, რონალდუ, ანდერსონი (გიგზი 72), კარიკი, პარკი, რუნი (ტევესი 77), ბერბატოვი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: გალასი, სანა, კლიში, ევრა, კარიკი
მსაჯი: ჰოვარდ ვები
60 106 მაყურებელი

**უიგანი 0:0 სტოკი**

უიგანი: კირკლანდი, მელხიოტი, ბოისი, ბრამბლი, ფიგეროა, ვალენსია, პალასიოსი, კატერმოლი, კუმასი, ჰესკი (კამარა 57), ზაქი
მწვრთნელი:
სტოკი: სორენსენი, გრიფინი, აბდულაიე ფაიე, შოუკროსი, ჰიგინბოთემი, დიაო, ოლოფინიანა (ველანი 86), ამდი ფაიე (კრესველი 84), დელაპი, ფულერი, სიდიბე (კიტსონი 47)
მწვრთნელი:
გაფრთხილება: ბრამბლი, შოუკროსი, ფულერი, კრესველი
მსაჯი: მაიკ რაილი
15 881 მაყურებელი

**ჰალი 0:1 ბოლტონი**

0:1 ტეილორი (50)
ჰალი: მაიჰილი, მაქშეინი, ტერნერი, ზაიატე, დოუსონი (რიკეტსი 64), ბოატენგი (ფოლანი 73), ეშბი, მარნი, ჯოვანი, კინგი, კუზინი (მენდი 54)
მწვრთნელი:
ბოლტონი: იასკელაინენი, სტეინსონი, კაჰილი, ობრაიენი, სამუელი, მუამბა, გარდნერი, მაკკანი, ტეილორი, ელმანდერი (სმოლარეკი 77), დევისი
მწვრთნელი:
გაფრთხილება: დოუსონი, მუამბა, გარდნერი
მსაჯი: ალან ვაილი
24 903 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 1:3 ევერტონი**

1:0 კოლისონი (63), 1:1 ლესკოტი (83), 1:2, 1:3 საა (85, 87)
ვესტ ჰემი: გრინი, ნილი, კოლინსი, აფსონი (კოლისონი 18), ილუნგა, ფაუბერტი, პარკერი (დი მიკელე 87), ბოიერი, სირსი, ბელამი, ბოა მორტე (ეთერინგტონი 57)
მწვრთნელი: ჯანფრანკო ძოლა
ევერტონი: ჰოვარდი, ნევილი, იობო, იაგიელკა, ლესკოტი, არტეტა, კაჰილი, როდველი (ვოუგანი 65), ოსმანი, საა (ჰიბერტი 90), ანიჩებე (ბაინსი 86)
მწვრთნელი:
გაფრთხილება: ეთერინგტონი, ლესკოტი
მსაჯი: მარკ ჰელსი
33 916 მაყურებელი

**სანდერლენდი 1:2 პორტსმუთი**

1:0 სისე (4), 1:1 ბელჰაჯი (51), 1:2 დეფო (90+3)
სანდერლენდი: ფულოპი, ბერდსლი, ფერდინანდი, ნოსვორთი, კოლინსი, მალბრანკი (ლიდბიტერი 80), ვაითჰედი, რიდი (ჰილი 80), რიჩარდსონი, სისე, მერფი (დიუფი 46)
მწვრთნელი:
პორტსმუთი: ჯეიმსი, ჯონსონი, კემპბელი, დისტინი, ბელჰაჯი, ჰამაროტი, დევისი, დიარა, კრანჩარი (უტაკა 75), დეფო (პიუზი 90), კრაუჩი (კანუ 69)
მწვრთნელი:
გაფრთხილება: კოლინსი, ვაითჰედი, დიარა
მსაჯი: სტივ ბენეტი
37 712 მაყურებელი

**ლივერპული 3:0 ვესტ ბრომვიჩი**

1:0, 2:0 კინი (34, 43), 3:0 არბელოა (90)
ლივერპული: რეინა, არბელოა, აგერი, კარაგერი, აურელიო, ბანაიოუნი, მასკერანო, ჯერარდი (ალონსო 80), რიერა (ბაბელი 65), კინი (ტორესი 72), კუიტი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ვესტ ბრომვიჩი: კარსონი, ზუივერლუნი, ოლსენი, დონკი, რობინსონი, კორენი, ვალერო, გრინინგი, კინი (ტეიშეირა 56), ბედნარი (მური 56), მილერი (ბრანტი 71)
მწვრთნელი:
გაფრთხილება: არბელოა, მასკერანო, ოლსონი
მსაჯი: პიტერ უოლტონი
43 451 მაყურებელი

**ფულემი 2:1 ნიუკასლი**

1:0 ჯონსონი (23), 1:1 ამეობი (57), 2:1 მერფი (66პ)
ფულემი: შვარცერი, პანტსილი, ჰანგელანდი, ჰიუზი, კონჩესკი, დევისი, ბულარდი, მერფი (ბაირდი 88), გერა (დემპსი 64), ჯონსონი, სამორა (ნევლანდი 74)
მწვრთნელი: როი ჰოჯსონი
ნიუკასლი: გივენი, ბეიე, კოლოჩინი, კასაპა, ენრიკე, გუტიერესი (ოუენი 70), ბათი, ბარტონი, დაფი, მარტინსი, ამეობი
მწვრთნელი: ჯო კინეარი
გაფრთხილება: ჰანგელანდი, მერფი, კოლოჩინი, ბეიე
მსაჯი: მარტინ ატკინსონი
24 740 მაყურებელი

**ასტონ ვილა 1:2 მიდლსბრო**

0:1 სანლი (34), 1:1 სიდველი (37), 1:2 სანლი (88)
ასტონ ვილა: ფრიდელი, კუელარი, დევისი, ლაურსენი, შორი (ჰარვუდი 70), როე-კოკერი, სიდველი, ბარი, მილნერი, აგბონლაჰორი, იანგი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
მიდლსბრო: ტარნბოლი, ჰოიტი, პოგატეცი, რიგოტი, ტეილორი, ალიადიერი, დიგარდი, ონილი, დაუნინგი, სანლი, ალვესი (არკა 83)
მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი
გაფრთხილება: მილნერი, იანგი, ალიადიერი, არკა
მსაჯი: რობ სტაილსი
36 672 მაყურებელი

**სიტი 1:2 ტოტენჰემი**

1:0 რობინიო (16), 1:1, 1:2 ბენტი (29, 64)
სიტი: ჰარტი, საბალეტა, რიჩარდსი, დანი, გარიდო, რაით-ფილიპსი, აირლენდი, ფერნანდესი, ვასელი (ჰამანი 31), რობინიო, მვარუვარი
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
ტოტენჰემი: გომესი, ჩორლუკა, ვუდგეიტი, კინგი, ასოუ-ეკოტო, ბენთლი, ჰადლსტოუნი, სოკორა, ჯენასი, მოდრიჩი (ლენონი 71), ბენტი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: ფერნანდესი, სოკორა, კინგი
გაძევება: ფერნანდესი (26), დანი (83), ასოუ-ეკოტო (89)
მსაჯი: მაიკ დინი
41 893 მაყურებელი

**ბლექბერნი 0:2 ჩელსი**

0:1, 0:2 ანელკა (40, 68)
ბლექბერნი: რობინსონი, სიმპსონი, ხიზანიშვილი, ნელსენი, ოლსონი, გრელა (მოკოენა 45), უორნოკი, ვილიანუევა, ენდრიუსი (დერბიშირი 46), პედერსენი, რობერტსი (ფაულერი 77)
მწვრთნელი: პოლ ინსი
ჩელსი: ჩეხი, ბოსინგვა, ალექსი, ტერი, ბრიჯი, ლამპარდი, მიკელი, დეკუ (ფერეირა 90), კალუ (ბელეტი 62), ანელკა, მალუდა
მწვრთნელ: ლუიშ ფელიპე სკოლარი
გაფრთხილება: უორნოკი, სიმპსონი, მალუდა
მსაჯი: კრის ფოი
20 670 მაყურებელი

# მაიმუნები

**სამირ ნასრის** დუბლით „არსენალმა“ „მანჩესტერს“ სძლია, სამმატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა და მეტოქეს გადაასწრო.

არსენ ვენგერმა თქვა, რომ ამ გამარჯვებით კრიტიკოსები მაჩუმა. კრიტიკა კი „ტოტენჰემთან“ განიავებულ ქულებს, „სტოკთან“ მარცხს და „ფენერბაჩესთან“ უგოლო ფრეს მოჰყვა.

13 სექტემბრის შემდეგ „მანჩესტერს“ ზედიზედ 12 მატჩში არ წაეგო და მეცამეტეზე გატყდა.

ნასრის დატყმულმა ბურთმა მცველისგან მიმართულება იცვალა და ვან დერ სარი გააშეშა. მერე კი ფრანგმა საჯარიმოს ხაზიდან დაჰკრა და მეკარე უშანსოდ დატოვა.

ტყუპისცალ ბრაზილიელს რაფაელ და სილვას პირველი მანჩესტერული გოლი ლამაზი გამოუვიდა. მკერდიდან დაშვებული ბურთი ცაციით შეაგდო.

„კრიტიკა ჩემთვის მისაღებია, რადგან ასეთი სამუშაო მაქვს და ჩვენი პასუხი „მანჩესტერთან“ მოგებაა. ეს სასიცოცხლო, ჩემი გუნდის მომავლისთვის უმნიშვნელოვანესი გამარჯვება იყო.

ჩემპიონობაზე პრეტენზია თუ გაქვს, ასეთი თამაშები უნდა მოიგო“.

„კარგი სანახაობა გამოვიდა — განაცხადა ალექს ფერგიუსონმა — ორი გუნდი უტევდა, მაგრამ „არსენალმა“ მომენტები უკეთ გამოიყენა. ვფიქრობ, რომ პირველ ტაიმში, როცა კლიშის ბურთი ხელზე მოხვდა, პენალტი გვეკუთვნოდა“.

20 მილიონგირვანქიან რობი კინს ამ სეზონში ორი გოლი (ჩემპიონთა ლიგაში) ჰქონდა გატანილი და პრემიერლიგაში „ლივერპულის“ მაისურით შაბათს წყვილი შეაგდო.

„კინმა მითხრა, რომ ზურგზე მაიმუნები ესხდნენ და ამიტომ ვერ გაჰქონდა. ახლა მამუნები მოიშორა და გოლებიც მოვა“— იხუმრა რაფაელ ბენიტესმა.

ირლანდიელი მეკარესთან პირისპირ ორჯერ გავიდა. ჯერ ზემოდან გადაავლო ბურთი ბალახზე გამოსრიალებულ კარსონს, შემდეგ შემოურბინა და ცარიელ კარში შეაგორა. არბელოამ თორმეტი მეტრიდან ცაციით შორ კუთხეში ჩააბზრიალა და „ვესტ ბრომვიჩის“ მოუგებელი სერია ხუთ მატჩამდე გაზარდა.

„ჩელსისთან“ და „მანჩესტერთან“ ნაჭიდავები და დამარცხებული „ჰალი“ გამოიფიტა და ზედიზედ მესამე მატჩი წააგო. ჰალელებს ბევრი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ „ბოლტონის“ მეკარე იუსი იაასკელაინენმა სასწაულები ჩაიდინა. სტუმარმა მეტიუ ტეილორმა კი მცველის მოგერიებული ბურთი შეაგდო მასპინძელთა კარში და „ბოლტონმა“ ერთიმეორის მიყოლებით ორ ტურში გოლგაუშვებლად მოიგო.

ლუი საამ „ევერტონს“ მიჯრით მეორე თამაში ბოლო წუთებზე მოაგებინა. „მანჩესტერის“ ყოფილმა ფორვარდმა წინა შეხვედრაში „ფულემთან“ ბოლოს გაიტანა და ამჯერად „ვესტ ჰემს“ ლონდონში დუბლი შეუსრულა.

მასპინძელმა ჯეკ კოლისონმა სადებიუტო მატჩში გოლით გაიხარა, მაგრამ „ევერტონი“ იშტაზე ამის მერე მოვიდა და ჯოლეონ ლესკოტმა თავით შეაგდო. „ჩაქუჩებმა“ მოსაგებად გაიწიეს და კონტრშეტევაზე ორჯერ გაუშვეს. საამ ერთი საჯარიმოს შიგნიდან, ერთიც გარედან შეაგდო და ამისთვის ორი წუთი დასჭირდა.

ჯანფრანკო ძოლას „ვესტ ჰემი“ ველარ ჩაქუჩობს და უკვე ექვსი ტურია, გამარჯვების გემო არ იცის.

ტონი ადამსის ხელში „პორტსმუთმა“ პირველი მატჩი მოიგო. „სანდერლენდი“ მეკარესთან პირისპირ გასულმა ჯიბრილ სისემ დააწინაურა. ნადირ ბელჰაჯმა ფულოპს ახლო კუთხეში ოცი მეტრიდან გაუტანა, ჯერმეინ დეფომ კი პენალტით ბოლო წუთზე შეაგდო და „სანდერლენდმა“ ზედიზედ მესამე თამაში წააგო.

„ჩელსიმ“ ნიკოლა ანელკას გოლებით „ბლექბერნს“ სძლია და ერთი დღით დაკარგული პირველი ადგილი დაიბრუნა. ფრანგმა ფორვარდმა წინა ტურში ჰეთ თრიქი შეასრულა, გუშინ — დუბლი, შედეგად კი პრემიერლიგის ბომბარდირების სათავეში მოექცა. „ბლექბერნის“ მოუგებელმა სერიამ ექვს მატჩს უწია. აღსანიშნავია სტუმრად „ჩელსის“ ექვსიდან ექვსი გამარჯვება.

„ასტონ ვილა“ 2005 წლიდან შინ „მიდლსბროს“ ვერ ამარცხებს და ნავსი ამჯერადაც ვერ გატეხა. თუნჯაი შანლის გოლი სტივ სიდუელმა მალევე გაქვითა, მაგრამ თურქმა მატჩის დასრულებამდე ორი წუთით ადრე მეორე შეაგდო და „ბორო“ უკვე ოთხი ტურია, არ აგებს.

„ტოტენჰემი“ ჰარი რედნაპის ხელში კვლავ დაუმარცხებელია. გუნდმა ბოლო ოთხ ტურში სამი თამაში მოიგო და ერთი ფრედ დაასრულა. გუშინ „სიტისთან“ აგებდა, მაგრამ მასპინძლებს ფერნანდესი გაუძევეს, რასაც დარენ ბენტის გოლი მოჰყვა. ბენტმა მეორე ტაიმშიც გაიტანა და ამის მერე მსაჯმა აქეთ-იქიდან კიდევ თითო ფეხბურთელი მიაბრძანა მოედნიდან. ეს იყო ამ სეზონში „ტოტენჰემის“ სტუმრად პირველი გამარჯვება.

**ვაჟა ხუციშვილი**

### კონფერენსლიგა

ნორთვიჩი — ბარტონი 0:1; რაშდენი — ვეიმუთი 1:0

### ჩრდილოეთ კონფერენსლიგა

გეინსბრო — სტეფორდი 0:3; გეითსჰედი — ბარსკო 4:1; ჰაკნოლი — კინგს ლინი 1:2; სოლიჰალი — ჰაიდი 2:2; სტელიბრიჯი — ტემურორთი 2:2; უორკინგტონი — ფარსლი 0:2; რედიჩი — ჰინკლი 2:2

### სამხრეთ კონფერენსლიგა

ბათი — ბრომლი 1:3; ბრეინთრი — უესტონი 1:1; ჰემპტონი — უორჩესტერი 1:2; მეიდენჰედი — ჩელმსფორდი 0:2; ნიუპორტი — ჰეიესი 1:5; სტ ალბანსი — ფიშერი 4:1; თაროკი — ბასინგსტოკი 6:0; უელინგი — ისტლი 3:2



ჯი სუნ პარკი და მიკაელ სილვესტრი: 90 წუთი უშეღავათო ბრძოლისა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 12 | 9 | 2 | 1 | 29:4 | 29 |
| ლივერპული | 12 | 9 | 2 | 1 | 19:8 | 29 |
| არსენალი | 12 | 7 | 2 | 3 | 25:13 | 23 |
| მანჩესტერი | 11 | 6 | 3 | 2 | 20:10 | 21 |
| ასტონ ვილა | 12 | 6 | 2 | 4 | 20:16 | 20 |
| ჰალი | 12 | 6 | 2 | 4 | 17:19 | 20 |
| ევერტონი | 12 | 5 | 3 | 4 | 18:20 | 18 |
| მიდლსბრო | 12 | 5 | 2 | 5 | 13:17 | 17 |
| პორტსმუთი | 12 | 5 | 2 | 5 | 13:18 | 17 |
| ფულემი | 11 | 4 | 2 | 5 | 10:10 | 14 |
| ბოლტონი | 12 | 4 | 2 | 6 | 11:13 | 14 |
| სტოკი | 12 | 4 | 2 | 6 | 13:19 | 14 |
| სიტი | 12 | 4 | 1 | 7 | 24:20 | 13 |
| ვესტ ჰემი | 12 | 4 | 1 | 7 | 16:22 | 13 |
| ბლექბერნი | 12 | 3 | 4 | 5 | 13:22 | 13 |
| ტოტენჰემი | 12 | 3 | 3 | 6 | 15:18 | 12 |
| უიგანი | 12 | 3 | 3 | 6 | 13:16 | 12 |
| ნიუკასლი | 12 | 3 | 3 | 6 | 15:20 | 12 |
| სანდერლენდი | 12 | 3 | 3 | 6 | 10:18 | 12 |
| ვესტ ბრომვიჩი | 12 | 3 | 2 | 7 | 10:21 | 11 |

**XIII ტური**
**15 ნოემბერი**

არსენალი — ასტონ ვილა
ბლექბერნი — სანდერლენდი
ბოლტონი — ლივერპული
ევერტონი — მიდლსბრო
ფულემი — ტოტენჰემი
ჰალი — სიტი
მანჩესტერი — სტოკი
ნიუკასლი — უიგანი
ვესტ ბრომვიჩი — ჩელსი
ვესტ ჰემი — პორტსმუთი

### ჩემპიონლიგა
### XVI ტური

ვულვზი — ბრისტოლი 2:0; ბარნსლი — ნორვიჩი 0:0; ბლექპული — ქოვენთრი 1:1; ბარნლი — პრესტონი 3:1; კარდიფი — ბირმინგემი 1:2; ჩარლტონი — უესდი 1:2; დონკასტერი — საუთჰემპტონი 0:2; პლიმუთი — ნოტინგემი 1:0; ქუინზ პარკი — დერბი 0:2; რედინგი — სუონსი 4:0; შეფილდი — უოტფორდი 2:1; იფსვიჩი — კრ. პალასი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვულვზი | 16 | 12 | 1 | 3 | 37:23 | 37 |
| ბირმინგემი | 15 | 9 | 4 | 2 | 19:10 | 31 |
| რედინგი | 16 | 9 | 3 | 4 | 36:16 | 30 |
| შეფილდი | 16 | 8 | 4 | 4 | 20:9 | 28 |
| ბარნლი | 16 | 7 | 5 | 4 | 21:20 | 26 |
| კარდიფი | 16 | 6 | 7 | 3 | 19:14 | 25 |
| ქუინზ პარკი | 16 | 7 | 4 | 5 | 15:14 | 25 |
| იფსვიჩი | 16 | 6 | 6 | 4 | 24:16 | 24 |
| სუონსი | 16 | 6 | 6 | 4 | 21:18 | 24 |
| ბრისტოლი | 16 | 6 | 6 | 4 | 18:16 | 24 |
| პლიმუთი | 16 | 6 | 4 | 6 | 20:20 | 22 |
| უესდი | 16 | 6 | 4 | 6 | 17:25 | 22 |
| დერბი | 16 | 5 | 6 | 5 | 19:20 | 21 |
| პრესტონი | 16 | 6 | 3 | 7 | 20:22 | 21 |
| ბლექპული | 16 | 5 | 6 | 5 | 17:20 | 21 |
| კრ. პალასი | 16 | 5 | 5 | 6 | 19:17 | 20 |
| ბარნსლი | 16 | 5 | 3 | 8 | 15:19 | 18 |
| ქოვენთრი | 15 | 4 | 5 | 6 | 16:19 | 17 |
| ნორვიჩი | 16 | 4 | 5 | 7 | 18:23 | 17 |
| ჩარლტონი | 16 | 4 | 4 | 8 | 17:23 | 16 |
| საუთჰემპტონი | 16 | 4 | 4 | 8 | 15:25 | 16 |
| უოტფორდი | 16 | 4 | 3 | 9 | 24:30 | 15 |
| ნოტინგემი | 16 | 2 | 5 | 9 | 13:25 | 11 |
| დონკასტერი | 16 | 2 | 3 | 11 | 7:23 | 9 |

### ასოციაციის თასი

ჩესტერი — მილუოლი 0:3; ჩესტერფილდი — მენსფილდი 3:1; ბლით სპარტანსი — შრიუსბერი 3:1; სატონი — ნოტსი 0:1; აკრინგტონი — ტრანმერი 0:0; ბარნეტი — როჩდეილი 1:1; ბორნმუთი — როვერსი 1:0; ალდერშოტი — როთერჰემი 1:1; ბრაიტონი — ჰარტლპული 3:3; ბერი — ჯილინგემი 0:1; კარლაილი — გრეისი 1:1; ჩელტენემი — ოლდემი 2:2; კოლჩესტერი — ლეიტონი 0:1; ქრიუ — ქაბფლითი 1:0; აშტონი — ექსეტერი 3:2; დარლინგტონი — დროილსდენი 0:0; ჰარლოუ — მაკლსფილდი 0:2; ჰისტონი — სუინდონი 1:0; კეტერინგი — ლინკოლნი 1:1; ჰერეფორდი — პორტ ველი 3:4; კიდერმინსტერი — კემბრიჯი 1:0; ლესტერი — სტივენეიჯი 3:0; ლუტონი — ალტრინჰემი 0:0; დონსი — ბრედფორდი 1:2; მორქემბი — გრიმსბი 2:1; ოქსფორდი — დორჩესტერი 0:0; ტელფორდი — საუთენდი 2:2; უოლსოლი — სკანთორპი 1:3; იოვილი — სტოკპორტი 1:1; ლიდსი — ნორთჰემპტონი 1:1; ჰორნჩარჩი — პიტერბრო 0:1; ჰავანტი — ბრენტფორდი 1:3; თიმ ბათი — ფორესტ გრინი 0:1; ისტბორნი — ბაროუ 0:0; ისტვუდი — ბრაკლი 2:1; ლეისტონი — ფლიტვუდი 0:0; ალდფრეტონი — ბერი თაუნი 4:2; ტორკი — ევშამი 2:0. უიმბლდონი — უიკომბი დღეს გაიმართება

## გერმანია
### ბუნდესლიგა
### XII ტური

**კიოლნი 2:1 ჰანოვერი**
0:1 შლაუდრაფი (16), 1:1 ჟერომელი (42), 2:1 სანუ (71)
**კიოლნი:** მონდრაგონი, ბრეჩკო, ჟერომელი, მოჰამადი, ვომე, პეცონი, პეტიტი, ანტარი, რადუ (სანუ 59), ვუჩიჩევიჩი (მაკენა 87), ნოვაკოვიჩი (შერცი 90)
მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი
**ჰანოვერი:** ფრომლოვიცი, ჩერუნდოლო, ფარენჰორსტი, კ. შულცი, რაუში, ბალიჩი (იანკოვი 77), ბ. შულცი (ეგიმანი 84), შტაინერი, შლაუდრაფი, ჰუსტი, ფორსელი (ჰანკე 66)
მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი
გაფრთხილება: ნოვაკოვიჩი, ბრეჩკო, სანუ, ბალიჩი, ჩერუნდოლო
გაძევება: შტაინერი (89)
მსაჯი: ზიპელი
47 000 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 3:0 კოტბუსი**
1:0, 2:0, 3:0 გრაფიტე (36პ, 55, 80)
**ვოლფსბურგი:** ბენალიო, რიტერი, მადლუნგი, ბარძალი, შეფერი, ჟოსუე, დეჟაგა (ჰასებე 46), გენტნერი (კრჟინოვეკი 73), მისიმოვიჩი, გრაფიტე (კაიუბი 83), ძეკო
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
**კოტბუსი:** ტრემელი, პავიჩევიჩი, კუკელკა, ჩაგდაში, ციბიგი, კურტი, როსტი, სიორენსენი (რივიჩი 63), სკელა (ვასილიევიჩი 87), რანგელოვი, იულა (ილიევი 81)
მწვრთნელი: ბოიან პრაშნიკარი
გაფრთხილება: სიორენსენი, ციბიგი
მსაჯი: ვაგნერი
23 010 მაყურებელი

**არმინია 0:2 გლადბახი**
0:1, 0:2 მარინი (6, 80)
**არმინია:** აილჰოფი, ფიშერი, ჰერციგი, კუჩერა, შულერი, კირხი (აიგნერი 72), კაუფი (ბოლმანი 80), კატონგო, ჰალფარი, კამპერი, ვიხნიარეკი
მწვრთნელი: მიხაელ ფრონცეკი
**გლადბახი:** გოსპოდარეკი, ლეველსი, ბროუვერსი, დამსი, დორდა, ბრედლი, ალბერმანი, მარინი (მატმური 83), ვან დენ ბერგი (ნჟენგი 90), კოლაუტი (ბაუმიოჰანი 46), ფრენდი
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
გაფრთხილება: შულერი, ჰერციგი, მარინი, გოსპოდარეკი
მსაჯი: გაგელმანი
24 600 მაყურებელი

**ჰამბურგი 2:1 დორტმუნდი**
1:0 პეტრიჩი (9), 2:0 ოლიჩი (33), 2:1 ჰაინალი (48)
**ჰამბურგი:** როსტი, ბოანტენგი, რაინჰარდტი, მატჰაისენი, აოგო (იანსენი 80), ალექს სილვა, ბენიამინი (პიტროიპა 58), ტროხოვსკი, იაროლიმი, ოლიჩი, პეტრიჩი (გერერო 86)
მწვრთნელი: მარტინ იოლი
**დორტმუნდი:** ვაიდენფელერი, ოვომოიელა (ფედერიკო 85), სუბოტიჩი, კოვაჩი, ლი, კელი, ტინგა, კრინგე, ჰაინალი, ბლაშჩიკოვსკი (კლიმოვიჩი 46), ზიდანი (ბაკლი 70)
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
გაფრთხილება: ალექს სილვა, აოგო, კელი, კლიმოვიჩი
გაძევება: კოვაჩი (90)
მსაჯი: დრეესი
57 000 მაყურებელი

**ბოხუმი 0:0 ვერდერი**
**ბოხუმი:** ფერნანდესი, პფერცელი, მალტრიცი, იაჰია, ბიონიგი, ცედებელი, დაბროვსკი, ფუქსი (ეპალე 43), აზაუალი (მაშუმიანი 64), სინანი (იმჰოფი 78), მეცელი
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
**ვერდერი:** ვიზე, პასანენი, მერტეზაკერი, ნალდო, ბოინიში, ბაუმანი, ფრინგსი, იოზილი, დიეგო, პისარო, ალმეიდა (როსენბერგი 80)
მწვრთნელი: თომას შაფი
გაფრთხილება: ცედებელი, პისარო
გაძევება: იოზილი (84)
მსაჯი: აითექინი
27 237 მაყურებელი

**კარლსრუე 3:3 ლევერკუზენი**
0:1 ჰელმესი (1), 0:2 კისლინგი (17), 0:3 კადლეცი (24), 1:3 და სილვა (37), 2:3 სებასტიანი (60), 3:3 იაშვილი (76)
**კარლსრუე:** მილერი, ჩელოცი, სებასტიანი, შტოლი, აიხნერი, ადურიზ (ტიმი 75), მუცელი, ფრაიზი, და სილვა, კარნელი (იაშვილი 61), კენედი (კაპლანი 74)
მწვრთნელი: ედმუნდ ბეკერი
**ლევერკუზენი:** ადლერი, კასტრო, ფრიდრიხი, ენრიკე, კადლეცი, როლფესი, აუგუსტუ (ფაიგლერი 67), ვიდალი, ბარნეტა, ჰელმესი (გეკასი 78), კისლინგი
მწვრთნელი: ბრუნო ლაბადია
გაფრთხილება: ჩელოცი, ჰელმესი, ენრიკე, ვიდალი
მსაჯი: პერლი
28 238 მაყურებელი

**აინტრახტი 2:2 შტუტგარტი**
1:0, 2:0 ლიბეროპულოსი (18, 66), 2:1 ლანიგი (71), 2:2 გომესი (87)
**აინტრახტი:** ნიკოლოვი, ოხსი, რუსი, გალინდო, კიოლერი, ფინკი, შტაინჰიოფერი, ტოსკი (ლიუბიჩიჩი 85), ქორქმაზი (ცუმე 74), ფენინი, ლიბეროპულოსი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
**შტუტგარტი:** ლემანი, ტრეში (ხედირა 71), ოსორიო, დელპიერი, მანინი, პარდო, ლანიგი, ჰიცლშპერგერი (სიმაკი 60), ესონი, გომესი, მარიკა (კაკაუ 67)
მწვრთნელი: არმინ ფეე
გაფრთხილება: გალინდო, ოხსი, ფენინი, ნიკოლოვი, ოსორიო, დელ პიერი, ლემანი, კაკაუ
მსაჯი: რაფატი
51 000 მაყურებელი

**შალკე 1:2 ბაიერნი**
0:1 ტონი (3), 1:1 ფარფანი (5), 1:2 რიბერი (31)
**შალკე:** ნოიერი, რაფინია, ვესტერმანი, ბორდონი, კობიაშვილი, ჯონსი, ერნსტი (ასამოა 83), რაკიტიჩი (სანჩესი 60), ფარფანი, ჰალილ ალთინთოფი (შტრაიტი 72), კურანი
მწვრთნელი: ფრედ რუტენი
**ბაიერნი:** რენზინგი, ოდო, ლუსიო, დემიკელისი, ზე რობერტო (ლელი 62), ვან ბომელი, ბოროვსკი, კროოსი (სოსა 89), რიბელი, ტონი (ოტლი 72), კლოზე
მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი
გაფრთხილება: ერნსტი, რაკიტიჩი, ბოროვსკი, ლუსიო, ზე რობერტო, დემიკელისი
მსაჯი: კირხერი
61 673 მაყურებელი

**ჰერტა 1:0 ჰოფენჰაიმი**
1:0 ვორონინი (70)
**ჰერტა:** დრობნი, შაჰედი, ფრიდრიხი, შიმუნიჩი, შტაინი, დარდაი, სისერუ, რაფაელი (დომოვჩისკი 89), ნიკუ, პანტელიჩი (კაჩარი 61), ვორონინი (ლუშტენბერგერი 90)
მწვრთნელი: ლუსიენ ფავრი
**ჰოფენჰაიმი:** ჰაასი, ბეკი, იაისლე, კომპერი, იანკერი (ნილსონი 89), გუსტავო (კომპადო 76), ედუარდო, სალიჰოვიჩი, ობასი, იბიშევიჩი (ვაისი 68), ბა
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: პანტელიჩი, სისერუ, გუსტავო, იაისლე, სალიჰოვიჩი
მსაჯი: ფანდელი
58 862 მაყურებელი

# რიბერი კლინსმანის რევოლუციის ლიდერი



**ზედიზედ** ოთხ ტურში ერთნაირი ანგარიშით (2:0) მომგები „ლევერკუზენი“ კარლსრუეში გააჩერეს.

დრამატულ შეხვედრაში ალექსანდრე იაშვილმა თავურით გაათანაბრა და „კარლსრუეს“ ხუთმატჩიან წაგებათა სერია შეწყვიტა.

პატრიკ ჰელმესი 33-ე წამზე მეკარესთან პირისპირ გავიდა და სტუმრები დააწინაურა. შტეფან კისლინგმა მცველს ხელი ჰკრა და თავურით შეაგდო, მიროსლავ კადლეცმა კი საჯარიმო დარტყმით სხვაობა სამამდე გაზარდა.

საჯარიმოთივე მასპინძლებმა ერთი გოლი გაქვითეს. ბურთი „ლევერკუზენის“ მცველის თავისგან რენე ადლერის კარში აღმოჩნდა. ასევე თავით სებასტიანმა მეორე გაუტანა სტუმრებს და ბოლოს იაშვილის გოლი იყო, რომელიც მარჯვნიდან ჩაწოდებულ ბურთს შორ ძელთან დაუხვდა.

„მეტოქის წინაშე ქუდს ვიხრი — თქვა „ლევერკუზენის“ მწვრთნელმა ბრუნო ლაბადიამ — რადგან ბოლომდე იბრძოლეს. თავიდან საჩვენოდ საქმე კარგად აეწყო, მაგრამ მეორე ტაიმში ყურადღება მოვადუნეთ და ვფიქრობ, რომ ფრე ლოგიკური შედეგია“.

7 მაისიდან შინ დაუმარცხებელმა „ჰამბურგმა“ „დორტმუნდს“ ხორვატული გოლებით მოუგო. მლადენ პეტრიჩმა ათი მეტრიდან თავით გაიტანა, ოლიჩი კი მეკარესთან პირისპირ გავიდა, გასცდა და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა.

ტამაშ ჰაინალმა მეორე ტაიმის დასაწყისში ერთი გაქვითა — მეკარის მოგერიებულს ახლოდან დაამატა.

ვოლფსბურგში გრაფიტეს დღე იყო. ბრაზილიელმა ფორვარდმა ჰეთ თრიქი შეასრულა და ბოლოადგილოსანი „კოტბუსი“ „მგლებმა“ იოლად დაამარცხეს. თითქმის შვიდი თვეა, „ვოლფსბურგს“ საკუთარ სტადიონზე არ წაუგია. გარდა ამისა, ბოლო ექვსი საშინაო მატჩი (ყველა ტურნირში) მოიგო და აქედან ხუთში სამზე ნაკლები გოლი არ გაუტანია.

გრაფიტემ პირველი პენალტით შეაგდო, მერე კი მისიმოვიჩის და ძეკოს პასები შეირგო და სეზონში რვა გოლი მოაგროვა.

„არმინიას“ „გლადბახისთვის“ 2004 წლიდან არ გაუტანია და გასულ შაბათსაც ვერ მოახერხა. სტუმართა 19 წლის ფორვარდმა მარკო მარინმა მატჩის დასაწყისში საჯარიმო დარტყმით გაიტანა, ბოლოში კი მეკარეს ბურთი თავზე გადაავლო. არმინიელთა მოუგებელი სერია შვიდ მატჩამდე გაიწელა.

„ჰანოვერი“ სტუმრად საშინლად თამაშობს და ზედიზედ მეხუთე გასვლითი მატჩი წააგო, მიუხედავად იმისა, რომ კიოლნში იან შლაუდრაფის გოლით იგებდა.

ჟერომელმა პირველი ტაიმის მიწურულს ქუსლურით გაათანაბრა, მეორეში კი სანუს დარტყმული ბურთი მცველის ფეხიდან შევარდა „ჰანოვერის“ კარში და „კიოლნმა“ მიჯრით ორ ტურში იმარჯვა. ზედიზედ ხუთი მატჩის მომგები „ჰოფენჰაიმი“ ბერლინში „ჰერტასთან“ დამარცხდა და პირველი ადგილი „ლევერკუზენს“ დაუთმო. მეკარესთან პირისპირ გასულ ანდრი ვორონინს გატანა არ გასჭირვებია.

